მუნიციპალიტეტის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №5(91) 2015 წ. 1-15 მარტი ფასი 50 თეთრი

გილოცავთ!

გაზაფხულის პირმცინარი დღეების ქალბატონებისათვის მშვენიერი – 3 და 8 მარტის შემოგრძანებას გილოცავთ, ჩვენო ძვირფასო დედებო და ქალებო! გაზაფხულის მახარობელ ია-იებს, ენძელებსა და ფურისულებს, შოშიებს, ფეროებსა და კუდმაკრატელა მერცხლებს საქართველოს გამთლიანებისა და გაძლიერების სიხარული მოეტანოს თქვენთვის! შვილთა სიმრავლე, მრავალვაჟიანობა დაგბედებოდეს, ჩემო საქართველო!



ძვირფასო მანდილოსნებო! იქნებ სჯობდეს დილას ჩვენი ყოველდღიური ტვირთის შესამსუბუქებლად ბერდიდი ზოსიმეს ლოცვა წარმოვთქვათ:

„უფალო, მომეცი ძალა, რათა გადავიტანო მომავალი დღის სიმძიმილი და ყოველივე, რაც მოხდება მთელი დღის მანძილზე, უწინამძღვრე ჩემს ნებას და მასწავლე ლოცვა, სასოება, მოთმინება, მიტევება და სიყვარული“.



მუნიციპალური გვერდი

პროგრამა სოციალური ფონის შესაცვლელად

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტულ საკითხთა შორისაა ჯანდაცვის, სოციალური, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12 თებერვლის რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს წევრებმა განიხილეს და დაამტკიცეს „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2015 წლის პროგრამა“ და მისი ბიუჯეტი..

აღნიშნულ საკითხზე საკრებულოს სხდომაზე განსახილველად მოხსენება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსმა **სოფო შაქარაშვილმა** ***წარმოადგინა. დღეს სოფო ჩვენი გაზეთის სტუმარია და იმ კითხვებს პასუხობს. რომლებიც სოციალურ პროგრამას გაგვაცნობს. როგორც მან გვითხრა:***

– **აღნიშნული** პროგრამა ითვალისწინებს ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური ფონის უკეთესობისაკენ შეცვლას, უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობის ფენის შემცირებას, დემოგრაფიული მონაცემების გაზრდას და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას. როგორც ცნობილია, ამ პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისათვის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 694100 ლარია გათვალისწინებული.

– ვის შეუძლია ისარგებლოს აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული დახმარებით?

– პროგრამაში ასეთი ბენეფიციარები სამიზნე ჯგუფებად გვყავს დაკონკრეტებული.

სოციალური დახმარების სამიზნე ჯგუფებში შედის:

– ეკონომიურად და სოციალურად გაჭირვებული ოჯახები, რომლებიც არ იღებენ სოციალურ შემწეობას და მათი ოჯახის სარეიტინგო ქულა არის 57ათასიდან 100 ათასამდე. ამასთან, სარეიტინგო ქულები მინიჭებული უნდა იყოს 2014-2015 წლებში. აქ მოიაზრება, ასევე, ის ოჯახები, რომელთაც სოციალური სააგენტოს მიერ ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო 2015 წელს შეუწერდათ საარსებო შემწეობა. ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის ბენეფიციარ ოჯახებზე ერთჯერადად გაიცემა დახმარება 100 ლარი. სულ წელიწადში საამისოდ 30 ათასი ლარია გამოყოფილი.

– ერთჯერადი დახმარება გაიცემა პირველ და II შვილზე ახალშობილთა ოჯახებისათვის, რომლებიც რეგისტრირებული არიან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მათი სარეიტინგო ქულა 0-დან 100 ათასამდეა. ამ შემთხვევაში ერთჯერადი დახმარება შეადგენს 100 ლარს;

– ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მარტოხელა დედებზე ერთჯერადი დახმარების სახით გაიცემა 100 ლარი, რაზედაც 4 ათასი ლარია გამოყოფილი.

– ეკონომიურად და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონარული მკურნალობისა და ოპერაციების დაფინანსება მოხდება იმ ბენეფიციარებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა 0-დან 100 ათასამდეა (მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოხდება სახელმწიფო პროგრამის 500 ლარამდე ფარგლებში – მისი თანადაფინანსება მოხდება იმ პირებისათვის, რომელთაც ამოწურული აქვთ სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობის ლიმიტი და მათი სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა ან ესაჭიროება სასწრაფო-გადაუდებელი ოპერაცია, რომელიც არ ფინანსდება სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამით);

– ონკოლოგიური ავადმყოფების დახმარება. ონკოლოგიურ ავადმყოფს დახმარება გაეწევა სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობისათვის, რომელთა დასახმარებლად წელიწადში 40 ათასი ლარია გამოყოფილი.

– ეკონომიურად და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა მედიკამენტების დაფინანსება მოხდება იმ ბენეფიციართათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა 0-დან 100000-მდეა, ამ შემთხვევაში დახმარება შეადგენს არაუმეტეს 200 ლარს;

– ეკონომიურად და სოციალურად გაჭირვებული ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა 0-დან 70000-მდეა, 200 ლარით (არაუმეტეს) დაფინანსდება სამედიცინო დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული, კომპიუტერული ტომოგრაფიის, კორონოგრაფიისა და ბირთვულ-მაგნიტურ-რეზონანსული გამოკვლევები (იმ შემთხვევაში თუ მათი დაფინანსება სხვა რომელიმე პროგრამით არ არის გათვალისწინებული).

– 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, რომელთა რაოდენობა ჩვენს მუნიციპალიტეტში 80-ია. თითოეულზე გაიცემა 150-150 ლარი.

– 18 წლამდე ასაკის უდედმამო ბავშვზე (სულ 5) ასევე გაიცემა ყოველთვიურად 50 ლარი;

– უპატრონო მიცვალებულის დასაკრძალად, რომელთაც არ ჰყავთ არცერთი რიგის მემკვიდრე, გამოყოფილია 300-300 ლარი;

– სამშობლოს დაცვისათვის ომში დაღუპულთა დაკრძალვის ხარჯებისათვის გამოყოფილია თითოეულზე 250 ლარი;

– დევნილი პირის დაკრძალვისთვის 300-300 ლარი;

– ასევე, სამამულო ომის ვეტერანთა დაკრძალვის სარიტუალო ხარჯებისთვის გამოყოფილია თითოეულზე 250 ლარი;

– აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ ბენეფიციართა (230 კაცი) უფასო სასადილოების დასაფინანსებლად – 180 ათასი ლარი;

– სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული სახლების მაცხოვრებელთა საცხოვრებელით უზრუნველყოფისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილია 41900 ლარი (ასეთი სულ 26-28 ბენეფიციარია), რომელზედაც 125-125 ლარი გაიცემა ყოველთვიურად.

– ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის ოფისის დასაფინანსებელი თანხა 10000 ლარს შეადგენს.

– 100 წელს გადაცილებულ ხანდაზმულთათვის, რომლებიც სულ ექვსია ჩვენს მუნიციპალიტეტში, ერთჯერადად გადასაცემად გამოყოფილია 150-150 ლარი.

– დიალიზზე მყოფ მოქალაქეთათვის თვეში ერთხელ 100 ლარია გათვალისწინებული დასახმარებლად (მგზავრობის ხარჯი);

– ეკონომიურად და სოციალურად გაჭირვებული ოჯახებისათვის საახალწლო-საადგომო სასურსათო ამანათებისათვის 2015 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 20 ათასი ლარია გამოყოფილი;

– რაც შეეხება სოფელ უდაბნოდან ქალაქ საგარეჯოში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ტრანსპორტირებისათვის, რომელიც კვირაში ორჯერ განხორციელდება მთელი წლის განმავლობაში, ბიუჯეტიდან 8 ათასი ლარია გამოყოფილი;

– ასევე, სოციალურად დაუცველი უსახლკარო ოჯახებისათვის თავშესაფრის მოსაწყობად ქ. საგარეჯოში, ყოფილი პოლიტექნიკური ტექნიკუმის შენობის რეაბილიტაციაა დაგეგმილი, რომლისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან ამ პროგრამაში 100 ათასი ლარია გამიზნული.

– იქნებ უფრო დაგვიკონკრეტოთ სტაციონარული მკურნალობისა და ოპერაციების დაფინანსება და ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო დახმარება?

– ვთქვით, რომ ეკონომიურად და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა სტაციონარული მკურნალობა და ოპერაციების დაფინანსება ამ პროგრამით შესაძლებელია იმ ბენეფიციარებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა 0-დან 100 ათასამდეა (ეს თანადაფინანსება მოხდება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაუფინანსებელი თანხის არაუმეტეს 50 პროცენტისა, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა); ამასთან, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება იმ პირებისათვის, რომელთაც ამოწურული აქვთ სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობის ლიმიტი და მათი სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა, ან ესაჭიროებათ სასწრაფო გადაუდებელი ოპერაცია, რომელიც არ ფინანსდება სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამით, თანადაფინანსება მოხდება დაუფინანსებელი თანხის არაუმეტეს 50 პროცენტისა, მაგრამ ამავდროულად, არაუმეტეს 500 ლარისა.

რაც შეეხება ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო დახმარებას, ამ შემთხვევაში ავადმყოფს დახმარება გაეწევა სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობისათვის. იმ შემთხვევაში, თუ ონკოლოგიური პაციენტი ფინანსდება სახელმწიფო ფარგლებში, დაფინანსება მოხდება დაუფინანსებელი თანხის 50%-ით, არაუმეტეს 500 ლარისა. სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება კი იმ პირებისათვის, რომლებიც არ სარგებლობენ ჯანდაცვის პროგრამით, ანდა ამოწურული აქვთ სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამით სარგებლობის ლიმიტი, დაფინანსება მოხდება თანხის არაუმეტეს 70%-სა, მაგრამ არაუმეტეს 1000 ლარისა.

– მედიკამენტების დაფინანსება არაუმეტეს 200 ლარისა იმ მოქალაქეებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არის 0-დან 100 ათასამდეო, კონკრეტულად?

– ეკონომიურად და სოციალურად დაუცველ მოქალაქეთათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არის 0-დან 100000-მდე მოსარგებლის სტატუსის გათვალისწინებით, მედიკამენტების დაფინანსება მოხდება არაუმეტეს 200 ლარისა, გარდა სახელმწიფო პროგრამით ასანაზღაურებელი ქრონიკულად მიმდინარე დაავადებების მედიკამენტებით უზრუნველყოფისა. დასაფინანასებელი მედიკამენტების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთი თვისთვის განკუთვნილ ნორმას.

– თუ არის ისეთი გამონაკლისი, განსაკუთრებული შემთხვევა, როცა პირი ვერ აკმაყოფილებს სამიზნე ჯგუფების მოთხოვნებს?

– ასეთ შემთხვევაში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის დასკვნის საფუძველზე შესაძლებელია გამოყოფილ იქნას სოციალური დახმარება იმ პირების მიმართ, რომლებიც მართალია ვერ აკმაყოფილებენ სამიზნე ჯგუფების მოთხოვნებს, თუმცა მათი ეკონომიური, სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმეა.

– რა შემთხვევაში შეიძლება უარი ეთქვას ბენეფიციარს სოციალური დახმარების გაცემაზე?

– ყოვლად დაუშვებელია ამ წესით დახმარების გაცემა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები დროებით რეგისტრირებული დევნილი მოსახლეობისათვის, თუ ისინი არიან ანალოგიური დახმარების მიმღებელნი სხვა ერთეულების ბიუჯეტიდან.

რა კეთდება?

ინფრასტრუქტურა

სასმელი წყლის პრობლემის მოსახსნელად

გაზაფხულს სასმელი წყლის დებეტის სიმცირით ხვდება ყოველთვის ბუნებრივი წყაროები. თუ ამას სისტემის გაუმართაობაც დაერთო, პრობლემა უკვე დიდ მასშტაბებს იძენს. სწორედ ამ პრობლემების თავიდან ასაცილებლად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის **სოფელ მანავისათვის** (ტურის უბნისათვის) 300 მეტრი პოლიეთილენის მილი დ-40 მმ-იანი და 300 მეტრი პოლიეთილენის მილი დ-25 მმ-იანი, **წყაროსთავისათვის** 220 მეტრი პოლიეთილენის მილი დ-40 მმ-იანი, სოფელ **გიორგიწმინდისთვის** 180 მეტრი პოლიეთილენის მილი დ-40 მმ-იანის, სოფელ **შიბლიანისათვის** 200 მეტრი პოლიეთილენის მილი დ-20 მმ-იანი და სოფელ დიდი **ჩაილურისთვის** 150 მეტრი პოლიეთილენის მილის დ-20 მმ-იანი შესყიდვა გახდა საჭირო. აღნიშნული მილების შესასყიდად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით ბიუჯეტიდან 1677,5 ლარი გამოიყო.

ასევე, კვლავ პრობლემები იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის **სოფელ უდაბნოს** მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების საკითხში, რომელსაც ართულებდა სასმელი წყლის დაზიანებული ცენტრალური მაგისტრალი. მის შესაკეთებლად გამოყოფილია 970,54 ლარი. სამუშაოები 12 თებერვლიდან დაიწყო და 20 მარტამდე გასტანს (აღნიშნულ სამუშაოებს ინდ. მეწარმე „ზურაბ დევდარიანი“ ასრულებს).

დემონტაჟი – მონტაჟის სამუშაოები უტარდება **ძ. საგარეჯოში,** კახეთის გზატკეცილი №17 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ არსებულ დაზიანებულ სასმელი წყლის ტუმბოს, რომლის სამუშაოებსაც ინდმეწარმე „ვაკო ანუაშვილი“ ასრულებს.

* * *

განახლდა სოფლების **თულარი-ლამბალოს** დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობა.

* * *

სოფელ ვერხვიანში დაიწყო ბუნებრივი აირით მოსარგებლე აბონენტთათვის განმხოლოებული მრიცხველების დაყენება, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს აქ სოფლის მოსახლეობისათვის საცხოვრებელ სახლებში ბუნებრივი აირის შეყვანა.

ლანა როსტიაშვილის ფოტო

ჩვენი მედიკოსები

ისინი წლეგია ერთად მოდიან

მარტმა *ტრადიციულად კვლავ გვაწვია გაზაფხული. ია-იებით, ენძელა-ფურისულებით, თვალმახარა ყოჩივარდებით, თეთრალისფრად გადაპენტილი ტყემლებითა და ნუშებით, ამწვანებული ჯეჯილებითა და რაც მთავარია, ყველასათვის სათაყვანო და სანუკვარი დედისა და ქალთა დღესასწაულებით. ღვთის წყალობითა და შეწევნით, ჩვენს მუნიციპალიტეტს არ აკლია დედები და ქალები, რომლებიც თავიანთი ცხოვრებით, საქმიანობითა და მამულიშვილობით გვილამაზებენ და გვიმსუბუქებენ ჩვენს ყოველდღიურობას, სიცოცხლისა და საქმიანობის ხალისს გვმატებენ, ხელისა და გულის სითბოს გვაშველებენ გაჭირვებისა და ძნელბედობის ჟამს. შეუძლებელია ასეთ ადამიანებზე ვისაუბროთ და მათ შორის არ მოვიხსენიოთ „ჯეოჰოსპიტალს“-ის საგარეჯოს მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის ღვაწლმოსილი მედიკოსები, ამბულატორიული მიმართულების მენეჯერი* **თამარ შაძარაშვილი** *და ოჯახის ექიმი* **მანანა ბურდული**. *ადამიანები, რომლებიც პროფესიული მოვალეობიდან გამომდინარე ათეულობით წლებია უღალატოდ დგანან ჩვენი მიწა-წყლის მკვიდრთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის სადარაჯოზე.*

ქნმა **მანანა ბურდულმა** *პირველად ამ 36 წლის წინ – 1979 წელს თერაპევტად დაიწყო მუშაობა საგარეჯოს რაიონულ საავადმყოფოში. განათლებულ, ერუდირებულ მედიკოსს ადვილად შეეძლო სხვაგან, უფრო პრესტიჟულ სამუშაოზე გადასვლა, მაგრამ ერთხელაც არ უფიქრია სხვაგან წასვლაზე. აქ საგარეჯოელთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს დაუდგა დარაჯად და არც აქ მოკლებია მადლიერი პაციენტების ქება, აღიარება, პრესტიჟული თანამდებობები. მთავარი კი მისთვის ის განცდაა, რომ შეუძლია და მოვალეცაა რამენაირად უშველოს ავადობით შეწუხებულ ადამიანებს.*

– ჩემი ყოველი დღე უპირველესად უფლისადმი მადლიერებით იწყება, რომ მან კიდევ ერთი დღე მაჩუქა და მომცა საშუალება ამ დღეს ხელი შევაშველო ძნელბედობაში მყოფ ადამიანებს. რაც მეტი სირთულეა, მეტს ვფიქრობ ავადმყოფებზე. იმ დროს ისინი ჩემი შინაურები და ახლობლები ხდებიან. ვცდილობ, რომ დროულად ვუშველო მათ მდგომარეობას. აქ არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი – ნდობა პაციენტსა და მკურნალს შორის, ურთიერთგაგება და სიყვარული, ურომლისოდაც ძნელია დადებითი შედეგის დადგომა.

– ქნო მანანა, თქვენი დამსახურების შესახებ კარგადაა ცნობილი ჩვენს მუნიციპალიტეტში, მაგრამ ახლა მინდა შეკითხვა თქვენი არაპროფესიული საქმიანობის შესახებ დაგისვათ. რამდენადაც ცნობილია, თქვენ ლექსების წერითა და პოეზიითაც ხართ გატაცებული. როგორაა საქმე ამ „ფრონტზე“?

– ლექსების წერა ადრეული ასაკიდანვე დავიწყე. მაინტერესებს პოეზია, ჟურნალისტიკა, თუმცა პროფესიული და ოჯახური დატვირთვის გამო ამ ბოლო დროს ლექსებისთვის ძველებურად ვეღარ ვიცლი.

– თქვენ, როგორც ქალი, დედა, მკურნალი ექიმი, როგორ მიულოცავდით ჩვენს ქალებს 3 და 8 მარტის დღესასწაულებს.

– ჩემთვის და ალბათ საერთოდაც, ქალი აღიქმება, როგორც სიცოცხლის, სიკეთის, სიყვარულის, სათნოების, სიწმინდის, და ყოველივე იმ სიკეთის სიმბოლოდ, რაც კაცობრიობას გააჩნია. მინდა, რომ ყველა ქალი, დედა, ბებია იყოს ბედნიერი და ჯანმრთელი ნებისმიერ ასაკში, მუდამ უხაროდეთ გაზაფხულის მოსვლა და მარტის დღესასწაულების დადგომა. სიკეთე და ბედნიერება არ მოუშალოთ ღმერთმა მათ ოჯახებს.

ალბათ ჩვენი მკითხველისათვის საჭირო არ იქნება ჩვენი მეორე რესპოდენტის **თამარ შაძარაშვილის** – ***ამბულატორიული ცენტრის მენეჯერის წარდგენა. იგი თითქმის 35 წელზე მეტია საგარეჯოელთა ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი ერთგული ქომაგია და ამ ხნის განძილზე არც მას მოჰკლებია პაციენტთა ნდობა და აღიარება. მუშაობის ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით სადღეღამისო რეჟიმში მომუშავეს ახლა ერთი წამით არ აქვს მოცლა, თუმცა ჩვენთან სასაუბროდ და ქალებისათვის დღესასწაულის მისალოცად მაინც გამონახა რამდენიმე წუთი.***

– ალბათ ძნელად დამიჯერებენ, მაგრამ ჩემი პოზიციიდან გამომდინარე, მართლაც ერთი წუთითაც არ მაქვს მოცლა. ვმუშაობთ 24 საათიან რეჟიმში შაბათ-კვირის გამოუკლებლად. რაც შეეხება ჩემს პროფესიულ საქმიანობას, ეს ყველა საგარეჯოელს მოეხსენება და იცის. მთელი 32 წელია აქ ვმუშაობ და თუ რაიმე გამიკეთებია, მათი შეფასებისთვის მიმინდვია.

– ქნო თამარ, სრულიად გეთანხმებით ამაში, მაგრამ ალბათ ბევრმა საგარეჯოელმა არ იცის, რომ კარგ მედიკოსებთან ერთად თქვენ ლამაზი სიმღერების ავტორი და შემოქმედიც ბრძანდებით. როგორ უთავსებთ ერთმანეთს და ხელს ხომ არ უშლის ერთმანეთს ექიმობა და თქვენი ეს გატაცება.

– სხვადასხვა ავტორების ლექსებზე სიმღერების წერას ადრეული ასაკიდანვე მივდევ. სამედიცინო ინსტიტუტში სწავლისას და საერთოდ, სტუდენტობის დროს მეც ვმღეროდი ინსტიტუტის ანსამბლში. თუმცა ჩემი უმთავრესი გატაცება სიმღერების შექმნაა. ეს ჩემთვის ისეა, როგორც ყოველდღიურად საკვების მიღებაა საჭირო. ადრე, ვიდრე საგარეჯოში ტელევიზია გვქონდა და ეწყობოდა შემოქმედებითი საღამოები, რომელთა ინიციატორი თამარ ჯაბადარი გახლდათ, ჩვენი ვიდეორგოლები ტელევიზიაში ტრიალებდა, მერე კი ტელევიზიაც მოიშალა და რა თქმა უნდა, შეწყდა გადაცემებიც. სიმღერებს ვქმნი ნებისმიერი – დადებითი თუ უარყოფითი განწყობისა და ემოციის დროს, მნიშვნელობა არა აქვს იმ დროს, მოწყენილი ვარ, გაბრაზებული, მხიარული თუ გახარებული. იმ დროს ჩემთვის მელოდიის გარდა, არაფერი არსებობს. სხვათა შორის სიმღერები შექმნილი მაქვს ჩემი მეგობრისა და კოლეგის მანანა ბურდულის ლექსებზე, რომელთანაც 4 წლის ასაკიდან ვმეგობრობ და მას შემდეგ სულ ერთად მოვდივართ. ადრე ჩემი სიმღერები შეტანილი იყო „ჩინარის“ რეპერტუარშიც და ამ ბოლო დროს კი ცოტა არ იყოს ისე ვეღარ ვიცლი ჩემი ამ გატაცებისათვის.

– თქვენი შემოქმედებითი ალბომის გამოცემა არ გიფიქრიათ?

– სამწუხაროდ, ამისათვის თავის დროზე ყურადღება არ მიმიქცევია და ახლა ძალზე მწყდება გული, რომ ჩემი დაუდევრობისა თუ უდროობის გამო ეს ვერ მოვახერხე.

– როგორ გრძელდება თქვენს მუსიკალურ ოჯახში ეს ტრადიცია.

– უნდა გითხრათ, რომ უფრო უკეთესად. ჩემსა და ჩემს შვილებზე უკეთესად ახლა ჩემი შვილიშვილები მღერიან. ამ მხრივ ჩემი სიამაყეა ჩემი შვილიშვილი – ელენე სამხთუაშვილი, რომლის პედაგოგები არიან მომღერალი ირინა ბაირამაშვილი და სამუსიკო სკოლის პედაგოგი თეა ხატიაშვილი.

– როგორი იქნება თქვენი სამი და სარგამარტო სურვილები ჩვენი ქალებისათვის?

– პირველ რიგში როგორც ექიმი ყველა ქალს, დედას, დიასახლისს განურჩევლად პროფესიისა და ასაკისა, ვუსურვებდი ჯანმრთელობას, რაც ყველაზე უპირველესია სხვა ფასეულობათა შორის. ასევე, ყველას ოჯახს ვუსურვებდი შვილების სიმრავლესა და კარგად ყოფნას, მშვიდობას, ბედნიერებას, ერთმანეთის სიყვარულს, თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენას, დოვლათსა და ბარაქას. დაე, მათ ისეთი ლამაზი ცხოვრება ჰქონდეთ, როგორი ლამაზი და მოსაწონიც ქართული სიმღერებია.

გივი დაბახიშვილი

როდის ფასდება ნიჭი?!

როცა საკუთარი თავი ტარიგად მიგაქვს

ნელი გულიკაშვილი საგარეჯოელთათვის მრავალმხრივ საამაყო პიროვნებაა.

ჩუმი, უპრეტენზიო, ფუტკარივით ფუსფუსა, დაუღლელი და სამაგიეროდ მისი შრომისა და გარჯის ნაყოფით სიხარულმინიჭებული უამრავი ადამიანი.

მან ბევრი ქართული სიმღერა სათუთად ამოიღო მივიწყებამდე მისული ქართული სიმღერების ფასდაუდებელი სკივრიდან;

ახალი სიცოცხლე, სილამაზე შესძინა და თითქმის საგალობლების დონემდე აიყვანა;

საგარეჯოელი პოეტების ლექსებზე შექმნა სიმღერები და ამით იმ უჩინარი პოეტების შემოქმედებასაც გვაზიარა – ნათელ-ჰყო;

დიდი სიყვარულით, რუდუნებით შექმნა, ჩამოაყალიბა, ჩამოძერწა ქალთა ანსამბლი „ჩინარი“ – კახეთსა და არა მარტო კახეთში აღიარებული, მოწონებული, დაფასებული;

„ჩინარის“ მესამე თაობა დააფრთიანა;

გაუძლო ცხოვრებისეულ გამოცდას და ჯერ დედით ობოლ, შემდეგ კი მამითაც დაობლებულ ძმისშვილებს აღზრდა-განათლება არ მოაკლო, დააკვალიანა და დამოძღვრა: სხვას რომ გაუნათო, სხვას სინათლე რომ მისცე, სანთელივით უნდა ენთო და ნელ-ნელა ჩაიფერფლო;

სწორედ ასეთი ცხოვრებით ცხოვრობს თავად ნაზი, მგრძნობიარე, მაგრამ ძმისშვილებისა და მოხუცი მშობლების დიდი იმედი და მოამაგე.

სწორედ ასეთი სუსტი აგებულების, მაგრამ ძლიერი ბუნების ქალებზე დგას დღეს ქართველობა და საქართველო – უძლებენ ყოველნაირ განსაცდელს, არავის აგრძნობინებენ გაჭირვებას, მაგრამ ქართული სულის უტეხობას და მარადიულობას თავიანთი ყოველდღიური ცხოვრებით დაგიმტკიცებენ.

სწორედ მისნაირებისთვისაა ალალი საქართველოს მიწაზე გაზაფხულზე აყვავებული ყველა ყვავილი.

მრავალი გაზაფხულის, მარტის დღესასწაულების მობრძანება მოგველოცოს, ძვირფასო, შენთვის.

როცა ნელის საკუთარ თავზე რამდენიმე სიტყვა ვთხოვეთ, დიდი მორიდებით ეს წერილი მოგვიტანა:

- 30 წელი გასულა მას შემდეგ, რაც ქალთა ანსამბლი „ჩინარი“ ჩამოყალიბდა. თითოეული ანსამბლის წევრის მოსვლა მახსოვს – იდგნენ და მოლოდინის თვალებით მიყურებდნენ, თუ რას ვიტყოდი.

ჩემს თვალწინ გაიარა მათმა ბავშვობამ. ისეთი რიდი ჰქონდათ ჩემი, მათი თაყვანისმცემლები ჩემთან მოდიოდნენ ხელის სათხოვნელად. ამ წლების განმავლობაში ვინ იცის შემოქმედებით ძიებაში რამდენი დარდი, ღამის თევა და სიხარული განგვიცდია.

დღეს საქართველოში ასეთი ანსამბლები იშვიათია. ჩვენ კი ყველა დროს გავუძელით. გვციოდა... ხშირად სანთლის შუქზე და გაუსაძლის მდგომარეობაში გვიმეცადინია, მაგრამ გადაგვარჩინა ერთმანეთის თანადგომამ და სიყვარულმა იმ საქმის მიმართ, რასაც ხელი მოვკიდეთ.

დღეს ანსამბლში მესამე თაობა მღერის – ძალიან ნიჭიერი და მონდომებული გოგონები. „ახლა აღარ გვემღერებაო“, ამბობენ ზოგიერთები. ღმერთმა დაგვიფაროს. სიმღერის გარეშე რაა სიცოცხლე, ამ მიწას აქვს დიდი გენეალოგია, სადაც აღიზარდნენ და აღიზრდებიან მომავალი თაობები, რომლებიც დიდ წვლილს შეიტანენ როგორც ქართული ფოლკლორის, ასევე ქართული სიმღერის შემდგომი განვითარების საქმეში.

სიმღერა ხომ ქართველი ხალხის გრძნობითი სამყაროს გამომსახველი და მისი გმირული ისტორიის მხატვრული მემატიანეა. ხან სევდას გამოხატავს, ხან სადიდებელი ჰიმნია, ხან კი გრძნობათა მოზღვავებაა.

ამიტომაც, ვისაც სურს ღრმად ჩასწვდეს ქართველი ხალხის აზრს და გონებას, გრძნობას, მის ფიქრსა და მისწრაფებას, უწინარეს ყოვლისა, მისი სულიერი სამყაროს სიდიადეს, ამ უტყუარ საზომს, ხალხურ სიმღერას უნდა მიმართოს.

სულ გემღერებოდეთ!

ნელი გულიკაშვილი

ანსამბლ „ჩინარის“ ხელმძღვანელი

ვალი გადდევს – კვალი დაგრჩეს!

„სახელის ხე — საჩრდილოგელად“

„შუადღე“

მარინა გულისაშვილი –

საგარეჯოს I საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი:

– ბადავწყვიტეთ გაგვეკეთებინა პროექტი „საგარეჯოს რაიონის გამორჩეული ადამიანები“. პროექტის მიზანია მოსწავლეებს, მათ მშობლებს, გნებავთ საზოგადოებას, გავაცნოთ ის ადამიანები, რომლებმაც გარკვეული კვალი დატოვეს რაიონის ცხოვრებაში. შედეგად მივადწიეთ მოსწავლეთა დაინტერესებას. ისინი თვითონ ირჩევენ, ვის შესახებ გავაკეთოთ მორიგი ღონისძიება. ფართოვდება მოსწავლეთა თვალსაწიერი, უჩნდებათ პატივისცემა უფროსი თაობისადმი ან გამორჩეული თანატოლისადმი. ვფიქრობთ, ერთი სიმიც თუ შეირხევა ბავშვებში სხვების პატივისცემის, დაფასების, სამშობლოს სიყვარულის, მიზანიც მიღწეული იქნება.

ყოველთვე ერთ პრეზენტაციას ვაკეთებთ. პროექტში ჩართულები არიან V, VII, IX კლასის მოსწავლეები.

მინდა გულწრფელად გითხრათ, რომ მშვენიერი იყო ნელი და ნანი ქაიხოსროშვილების „შუადღე“. ბავშვებმა მოგვითხრეს მათი ბიოგრაფია. თვალწინ გაირბინა ამ ორი საუკეთესო პიროვნებისა და პედაგოგის ბავშვობამ, სკოლის წლებმა, სტუდენტობამ, ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლამ და მიღწეულმა წარმატებებმა.

პრეზენტაციისას მოსწავლეებმა ისაუბრეს ნელის და ნანის მშობლებზე, შვილებზე, მათ წარმატებებზე. დაასაბუთეს, რატომ არიან ისინი ჩვენი რაიონისთვის გამორჩეულები. არც მათი სასცენო წარმატება და ვოკალი დავიწყებიათ. დებმა ტკბილი სიმღერით ცხოვრება გაგვიხალისეს. იყო მოგონებები, ყვავილები და იყო ერთი ლამაზი, დასამახსოვრებელი დღე საგარეჯოს №1 საჯარო სკოლაში. იყო ნელის და ნანის საყვარელი სიმღერები. ნელიმაც იმღერა და ყველა აიყოლია. მუსიკის მასწავლებლებმა დოდო ოტიაშვილმა და მაია ფანოზიშვილმა ღონისძიებას მუსიკალური ლამაზი ფონი შეუქმნეს, პრესკლუბმა სპეციალური კედლის გაზეთი გამოუშვა.

60-იანი წლების საგარეჯოს I საშუალო სკოლას კარგად ახსოვს ნანი და ნელი ქაიხოსროშვილები – თვალშისაცემი გარეგნობითა და ინტელექტით გამორჩეული დები. მუდამ მოწესრიგებულები, ლამაზად ფორმის კაბებში გამოწყობილნი (მაშინ მოსწავლეები ფორმას ატარებდნენ), დიდი, თეთრი ბაფთებით. ეტყობოდათ, მზრუნველი მშობლები ჰყავდათ და გოგონების აღზრდა მათთვის მთავარი იყო.

ნანი 1 აპრილს დაიბადა – გაზაფხულის მშვენიერ დღეს. იგი ოჯახის I სიხარული იყო. დავით და მარიამ ქაიხოსროშვილების

ოჯახს ახალი წევრი შეემატა. 3 წელიწადში II გოგონაც დაიბადა. ბ-ნი დათა ცოტა შეფიქრიანდა, მაგრამ ღმერთს მაინც მადლობა შესწირა მეორე სიხარულისთვის.

გოგონები მოსიყვარულე ოჯახში იზრდებოდნენ. ფიცხი და დაუდეგარი ხასიათის მამას წყნარი, მშვიდი, გაწონასწორებული დედა ანეიტრალებდა. ქალი, რომელმაც 80 წელზე მეტი იცოცხლა და აუგი თავის მტერზეც კი არ წამოსცდენია. შვილებს სიკეთეს, მადლის ქმნას ასწავლიდა, საოჯახო საქმეებში წვრთნიდა. თვითონ სრულყოფილების განსახიერება იყო და შვილებისგანაც ამას ითხოვდა.

მიჰქროდა ბავშვობის წლები მხიარულად. სწავლა საგარეჯოს №1 საშუალო სკოლაში დაიწყეს. ნანი მორიდებული, უკანდახეული, უთქმელი იყო. ნელი – შემართული, თავის თავში დარწმუნებული თავს ადვილად არავის დააჩაგვრინებდა. რამდენჯერ სცადეს მისი უკან დაწევა, მაგრამ ყოველთვის ისევ იკავებდა თავის ადგილს. კარგად სწავლობდნენ, ნელი საუკეთესოდ. დაუფასდა... სკოლა მედალზე დაამთავრა, თსუ – წითელ დიპლომზე...

გოგონებს ერთი ღვთისაგან მომადლებული ნიჭი ჰქონდათ – მუსიკალურები იყვნენ. მათი მშვენიერი ხმა ყველას ატკბობდა, ტანში ჟრუანტელი უვლიდა ყველას. ნელის მეორე კი დიდხანს ახსოვდათ. შემდეგში ნანის ხმას ნანი ბრეგვაძის ტკბილხმოვანებას ადარებდნენ . სიმღერა მათთვის ყველაფერი იყო. ნელის დებიუტი 3 წლის ასაკში შედგა. მაშინდელი კულტურის სახლის სცენაზე უნდა ემღერათ დებს. ნელი იხსენებს – ისეთი პატარა ვიყავი, რომ დამავიწყდა, რა უნდა გვემღერა და ყველას გასაგონად, ხმამაღლა ვკითხე ნანის. დარბაზი გაირინდა, ნელი არ შეკრთა და გოგონებმა ლამაზად შეასრულეს პოპულარული სიმღერა.

უკრავდნენ ფანდურზე, გიტარაზე, ნელი პიანინოზეც. რაიონში მნიშვნელოვანი ღონისძიება არ ჩატარდებოდა დები ქაიხოსროშვილების გარეშე. ახლა რა საყვარლები იყვნენ – გარეგნობით ლამაზები, ჩაცმით გემოვნებიანები, მუსიკალურობით უმაღლესნი. ლოტბარი ვანო მჭედლიშვილი აფასებდა გოგონების ნიჭსა და მიმართულებასაც აძლევდა.

სწრაფად გაირბინა სკოლის წლებმა... ნანიმ უცხო ენათა ინსტიტუტში ჩააბარა. ინგლისურ ენას დაეუფლა, ნელიმ – თსუ-ში. კარგად სწავლობდნენ. მუსიკალურ ტრადიციასაც აგრძელებდნენ. მღეროდნენ უცხო ენათა ინსტიტუტის გუნდში. მათი სიმღერები დისკზეც იწერებოდა. გაჩნდნენ ახალი ნაცნობ-მეგობრები, პროფესორ-მასწავლებლები. სერგო ჯიქია და მისთანანი ნელის პიროვნებაში მკვლევარის ნიჭს ხედავდნენ და სთხოვდნენ ასპირანტურაში გაეგრძელებინა სწავლა. ბრწყინვალე მომავალი ელოდა სამეცნიერო და კარიერულ წინსვლაში ნელის, მაგრამ ოჯახმა გარკვეული თანხა ვერ გამონახა ნელის თბილისში ჩასაწერად...

დები მშობლიურ საგარეჯოს დაუბრუნდნენ. ნანი საგარეჯოს №2 საშუალო სკოლაში მუშაობდა ინგლისური ენის მასწავლებლად. ნელი საგარეჯოს III საშუალო სკოლაში ასწავლიდა ქართულს. ხანდახან სცენაზეც გაიელვებდნენ, მსმენელს ატკბობდნენ. უფრო ხშირად მეგობრებთან მღეროდნენ. ვფიქრობ, ქართულმა ესტრადამ ბევრი დაკარგა დების სახით.

ნანის სკოლიდან ჰყავდა შეყვარებული – გივი ივანიშვილი და მას დაუკავშირა თავისი მომავალი. მერე როგორ უყვარდათ ერთმანეთი! როგორ შეჰხაროდნენ... ვისაც მათი შეყვარებულობის წლები ახსოვს, ახლაც იგონებენ ულამაზეს წყვილს, რომელიც მართლაც რომ ამშვენებდა ქალაქს. ორი ვაჟი შეეძინათ, ორივე საუკეთესო, მშობლების დამფასებლები. ვანიკოს დედის მუსიკალურობა დაჰყვა. დათო თვითნასწავლი, გამორჩეული მხატვარია, ხელოვანია, ლექსებს წერს. ნანიმ ყველაფერი თავისი ოჯახს გადააგო. მისგან ხმამაღალ სიტყვას ვერავინ გაიგონებდა. თუმცა თვითონ

დასასრული მე-5 გვერდზე

პოეტი – ლალი გულისაშვილი

ჩვეულებრივი ბავშვობა ჰქონდა. დაიბადა 1955 წლის 10 აპრილს, გამთენიისას. მშობლები კეთილშობილი ადამიანები იყვნენ. მამა – ისტორიკოსი, პედაგოგი, სკოლის დირექტორი... დედა – ადამიანური ღირებულებების საზომი. დილით ადრე დებს ეზოში გაიყვანდა და ჩიტების გალობას ასმენინებდა, ყვავილებს ეფერებოდნენ, ცხოველებს აპურებდნენ; მათი დიდი სახლის კარი ყველასთვის ღია იყო, გოგლა იქნებოდა თუ უფრო ადრე, ადრე – ვაჟა-ფშაველა. მათ ოჯახში ხშირად იყვნენ ცნობილი მხატვრები, მუსიკოსები, ლიტერატორები. ასეთ გარემოში გაზრდილ ბავშვს დაჰყვა დახვეწილი გემოვნება, პედაგოგის ხელოვნება და პოეტური ნიჭი. მიჰქროდა ბავშვობის უბედნიერესი წლები. მაგრამ 15 წლისამ დიდი დარტყმა მიიღო. სრულიად ახალგაზრდა დედა და სულ მალე მამაც გარდაეცვალა. დარჩა მიჩუმებული ოდესღაც ხმაურიანი ეზო-კარი, დაღვრემილი ბებია-პაპა და ატირებული უფროსი და.

ეს პირველი დარტყმა იყო პატარა ბავშვისთვის და მისი ლექსების მინორული ტონის ერთ-ერთი მიზეზი ოჯახური ტრაგედიაა.

გაუთიბავი დაგვხვდა ბალახი
და დაკეცილი ყველა კარები,
ხეები ისე მოწყენილები,
ახლოც რომ ვერც კი გაეკარები...
სულ ცოტა ხანში ინთება შუქი,
გამოცოცხლდება გარემო უხმო
და ბიძაჩემი ჩანგურით ხელში,
თავის ბავშვობის ფრინველებს უხმობს.

წარმატებით დაამთავრა პირველი სკოლა. ჩაირიცხა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტზე. უამრავი ამხანაგ-მეგობარი ჰყავდა, მაგრამ დიდრონ შავ თვალებში ჩაგუბებული სევდა დატოვებას არ აპირებდა. მიუხედავად ამისა, თავს ოპტიმისტურად შემოუძახებდა ხოლმე.

ჩემი დაცემა არ შეიძლება,
არ შეიძლება ჩემი სიკვდილი,
რადგან ჩემს ვარდნას აკავებს შენი
მაღალი ცა და დაღლილი მიწა...
ჩემი დაცემა არ შეიძლება,
უნდა მიგიკრა მკერდზე ჩვილივით
და გავძლო, ვიდრე სულს ამომხდიდეს,
შენზე დარდი და შენზე ჩივილი...

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ლიტერატურის ინსტიტუტში. 25 წლისამ დაიცვა დისერტაცია. ხელმძღვანელად ჰყავდა პროფესორი გურამ შარაძე. პერიოდულად ლექსებსა და ნაშრომებს აქვეყნებდა, მაგრამ... ისევ ჩამუხლება პირად ცხოვრებაში. რა ექნა, არ გაუმართლა.

შემოდგომა გასულია,
გარეთ უკვე ზამთარია
და საოცრად თოვს...
ჩემთან ერთად გაიღვიძებს,
მიყვარხარ და დაიჯერე,
სასწაულის დაიჯერე,
გთხოვ...

ის არ იყო ის ადამიანი, ვისაც ასეთი დიდი სულის გაგება შეეძლო. და კიდევ ახალი სევდა დაემატა თვალსა და გულს, კიდევ ერთი ძარღვი ჩაწყდა.

რატომ არასდროს არ შემაჩერე,
რატომ დამღალე ამაო ყოფით...
რა არის ქვეყნად მოსახვეჭელი
მახვილით, მტრობით და უარყოფით?..
მოხუცდნენ დები, რა რჩება ბოლოს,
როცა იღლები ქარის გაყოფით? –
შეუძლებელი ჩემი სამყარო,
დასახლებული შენი არყოფნით...

სულით არ დაცემულა. მიაღწია იმას, რომ შვილს საუკეთესო განათლება მისცა. თვითონაც თბილისის მე-6 გიმნაზიის დირექტორს, მთელი თბილისი იცნობდა. მოსწავლეებს უყვარდათ და აფასებდნენ. კოლეგები პატივს სცემდნენ. უამრავი ადამიანი ტრიალებდა მის გარშემო. სულში ჩაღრმავების დრო არ ჰქონდა და ალბათ ამან გადაარჩინა... მაგრამ კვლავ... ბედის ირონია... ჯერ გულმა უმტყუნა, მაგრამ ღმერთმა გადაარჩინა, მერე თავმა და თუ არა ექიმების პროფესიონალიზმი და ადამიანების გვერდით დგომა, ფიზიკურად განადგურდებოდა. მაშინ გამოჩნდა, ვის როგორ ახსოვდა ლალი – ხელის გაწვდენა გაჭირვების დროს და გვერდში დგომა-სიხარულისას.

კვლავ იწერებოდა მარგალიტები.

უფლის სახლთან კუნელი და
ბარდები და ეკლებია.
შორიახლო მოწყენილი
მტრედისფერი ეკვდერია...
ისე გალობს შავი შაშვი,
თითქოს ყველა ლოცვა იცის,
ზეცით მიხმობს უფალი და
შენთან მტოვებს მადლი მიწის.

მერე, ნაციონალებს არ მოსწონდათ დირექტორი, რომელიც მათი რუპორი არ იქნებოდა. ამას მოჰყვა სკოლის ღირსებით დატოვება და საუკეთესო პედაგოგი სკოლის გარეშე აღმოჩნდა.

დღეს თბილისში, მელიქიშვილის ცხრაში ცხოვრობს ადამიანი, რომელსაც „ლიტერატურა ძალზე უყვარს“ და სევდას წერით იქარვებს.

მიხვდებით, რომ სტრიქონები აკინძულია. ქართული სიტყვა ზეიმობს. უხვად არის გამოყენებული მხატვრული ხერხები, მეტაფორა, შედარება, რითმა გამართულია. ლექსი ადვილად გასაგები და ხელმისაწვდომია ჩვეულებრივი მკითხველისათვის. მის შემოქმედებაში შეხვდებით ლექსს მიძღვნილს ტიციანისადმი, აფხაზეთისადმი, მეგობრებისადმი.

ერთსაც დავამატებთ, ეს ქალბატონი ღირსეულად მიდის თავისი გზით. ზეციურისკენ „გადასარბენ ბილიკს“ ისე გაივლის, როგორც ეკადრება. მისთვის ცდუნება და სულმოკლეობა მიუღებელია, მიტევება და შენდობა – სიხარულია.

მეტყვი, ცხოვრება იმ სოფლად,
გადასარბენი ხიდია.
ყველას ერგება თავისი,
ნუ შიშობ, ღმერთი დიდია...
ვიცი და ზოგჯერ სულმოკლეს
მაინც ხომ დამიკვნესია,
დიდება მომსურვებია
როგორც მოკვდავთა წესია...
და სწორედ მაშინ, მადალო,
როცა საცდური დიდია,
მეტყვი: ცხოვრება იმ სოფლად,
გადასარბენი ხიდია...

ალბათ ამიტომაც გრძნობს ღვთის კალთას და შეწევნას. უფალმა ნუ მოაკლოს ეს მადლი. კვლავ ეწეროს გულიანი ლექსები. ჩაახედოს ქართული ლიტერატურის ლაბირინთებში ახალი თაობა და შეურხიოს ის სიმი – სამშობლოს სიყვარული რომ ჰქვია.

ამბობენ, ყველას თავისი ჯვარი აქვსო. ქ-ნმა ლალიმ ღირსეულად ატარა ცხოვრების ჯვარი და საქართველოს მიწაზე დააბიჯებენ მისი აღზრდილები – კარგი ადამიანები, ვისითაც ის იამაყებს. მარგალიტები – ლექსები, რომლებშიც მისი სული და გული ჩაქსოვილი.

აი, ასეთია ჩვენი თვალით დანახული, ჩვენი პატარა ქალაქის ღირსეული შთამომავალი, კარგი პედაგოგი და პოეტი, უბრალოდ კარგი ადამიანი – ლალი გულისაშვილი.

საგარეჯოს I საჯარო სკოლის მოსწავლეები

„სახელის ხე — საჩრდილობელად“ „შუადღე“

დასასრული

ხშირად იყო თავდასხმის ობიექტი, მაგრამ დედისაგან დამოძღვრილი ამასაც ითმენდა.

ნელიმ თავისი ბედი გივი მაისაშვილს დაუკავშირა. განათლებულ, კულტურულ ახალგაზრდას. ორი ქალიშვილი შეეძინათ – ორივე გამორჩეულად კარგი. ნინო ექიმი და 2 შვილის დედაა. მის დაწერილ თემებზე ახლაც კი ჟურუნტელი მივლისო, ამბობს ეთერ მურმანოვი. ლამაზი ოჯახი აქვს ნინოს. დაე, ბოლომდე ასე გასტანოს. მარი ინგლისური ენის სპეციალისტია, თავდაცვის აკადემიაში მუშაობს. ეკლესიურია. მადლიანი და სიკეთიანია. მაგრამ ნელის გული სტკივა – მარი ოჯახის შექმნას აგვიანებს და ამაზეა ერთი ამბავი... ღვთის მადლით ეს პრობლემაც გადაწყდება.

ნელის კარიერა საგარეჯოში წარმატებული იყო. რამდენჯერ დაურეკეს ჯავახიშვილის უნივერსიტეტიდან, სთხოვდნენ, ჩასულიყო და სამეცნიერო საქმიანობისთვის მოეკიდა ხელი, მაგრამ უარზე იყო.

1981 წლიდან ნელი ქაიხოსროშვილი ჩვენი, საგარეჯოს I საშუალო სკოლის დირექტორია, ნანი – მასწავლებელი. ნელი მკაცრიც იყო და სამართლიანიც. გაჯავრებაც იცოდა და დაყვავებაც. ბავშვის სულში იხედებოდა. მშობელს შესაფერის დარიგებას მისცემდა, კოლეგას დააკვალიანებდა, გამოცდილებას გაუზიარებდა. გამორჩეულ სკოლას გამორჩეული დირექტორი უძღვებოდა. სკოლაში ყველაფერი თავის რიგზე იყო – სწავლება თუ ღონისძიებები, პედსაბჭო თუ ლამაზი შეხვედრები მაგიდასთან, დისციპლინა თუ რომელი ერთი ვთქვათ.

განათლების სამინისტროდან თუკი ვინმე შემოწმებაზე ჩამოდიოდა, პირველ სკოლაში გაუფრთხილებლად აგზავნიდნენ. იცოდნენ, ნელის და მის გუნდს მოწესრიგებული ექნებოდათ ყველაფერი. წლების მანძილზე საგარეჯოს I საჯარო სკოლას მადლობის მეტი არაფერი მიუღია ზემდგომი ორგანოებიდან და რაც მთავარია, აღზრდილებიდან და მათი მშობლებიდან.

„მხედრიონი“ რომ ბობოქრობდა, იმ საშინელ წლებში მოსწავლე-მასწავლებელს სიცივეში, ცელოფანაკრულ ფანჯრებიან ოთახში უხდებოდათ მუშაობა, მაგრამ სასწავლო პროცესი არ ჩაშლილა – კუპონებს იღებდნენ პედაგოგები, მაგრამ თავის სინდისთან მართლები იყვნენ – მოსწავლისთვის, სკოლისათვის არ უღალატიათ. ნელის მხარში ედგა მოადგილე ციალა ნარიმანიშვილი და რუსუდან ბუხნიკაშვილი – ენერგიული, შესანიშნავი ქალბატონები. ციალა – კარგი დედა და მასწავლებელი. რუსიკო –ამოღებული ხმალი. პედსაბჭოს მდივანი და ნელის მარჯვენა ხელი – ეთერ მურმანოვი,– ერთგული, გონიერი ადამიანი, რომლის აზრებსაც ნელი ხშირად ითვალისწინებდა. შემდეგ ციალა ნარიმანიშვილი მარინა გულისაშვილმა შეცვალა, რუსიკო ბუხნიკაშვილი – გულო რევაზიშვილმა და ამ გუნდმა შეურცხვენლად მოიყვანა საგარეჯოს I სკოლა 2004 წლის სექტემბრამდე, რა თქმა უნდა, გონიერ კოლექტივთან ერთად.

„ნაციონალებმა“ თავისი საქმიანობა საგარეჯოში №1 სკოლიდან დაიწყეს. მოაწყვეს, გააკეთეს და მიაღწიეს – ნელი ქაიხოსროშვილი ქართულის მასწავლებლად დარჩა I სკოლაში, მაგრამ, ვფიქრობთ, ამით მოსწავლეებმა მოიგეს. ბედნიერები არიან ისინი, ვისაც ქ-ნი ნელი ასწავლის. მისი მეთოდები, ახსნის მანერა გამართლებულია. მკაცრია, მომთხოვნია, მის გაკვეთილზე უცოდინრად მისვლას ბავშვები ერიდებიან. მშობლებიც კმაყოფილები არიან – ასწავლოს, მოსთხოვოს, ჩვენც ეგ არ გვინდაო. ნელი თავის მისიას ასრულებს – ბავშვებს ეროვნული სულისკვეთებით ზრდის, სამშობლოს სიყვარულს ასწავლის, ილიას და ვაჟას ენას აზიარებს, ესესეს წერას ასწავლის. თვითონაც კარგად წერს. სიტყვა „მაუდის“ და თავის აღსაზრდელებს უშურველად გადასცემს ყველაფერ იმას, რაც მათი სულის გამოძერწვისათვის აუცილებელია. ვადიაროთ, რომ ნელისნაირ მასწავლებლობას ბევრი ვერ შეძლებს. არ ეკუთვნის, არ დაუწერს; ეკუთვნის – არ დაუკარგავს.

ხანდახან დაღონდება და წარსულს გადახედავს. რა თქმა უნდა, სწყინს, ვიღაცვიღაცეები უსამართლოდ რომ მოექცნენ, მაგრამ მალევე გადაუვლის ხოლმე – იქნებ ასეც სჯობდა, უფრო ბევრს გავიღებ ახალგაზრდებისთვისო.

... და შემოუყვება ხოლმე სტალინის ქუჩიდან I სკოლის გზას ჯერ კიდევ ახალგაზრდა, დაუღლელი, კარგი პედაგოგი – ნელი ქაიხოსროშვილი. ხალისით ესალმებიან მოსწავლეები. ისიც უღიმის, ლამაზი თვალები სიხარულით ავსებია – იცის, დათესილს მოიმკის. მერე რა, რომ ვიღაცამ ოდესღაც გული ატკინა, მერე რა, რომ... რომ... სამაგიეროდ, ამაყი და ღირსებით სავსე I სკოლის პედაგოგია, რომლის სიტყვასაც ფასი აქვს მოსწავლეებში, მასწავლებლებში, საზოგადოებაში.

ახლა მინდა გაგაცნოთ მისი მოსწავლეების წერილები. ზოგი იმდროინდელი, როცა მესიჯები ჯერ კიდევ არ იყო, ზოგიც ახალი.

„ჩემო ნელი მასწავლებელო! მე ახლა ჯარში ვარ. შორეულ აღმოსავლეთში ვმსახურობ. მახსენდება თქვენი თანაგრძნობა მაშინ, დედა რომ დავკარგე. ამიტომ 8 მარტს პირველ რიგში თქვენ გილოცავთ საუკეთესო სურვილებით“ ქ. ვლადივოსტოკიდან ჯარისკაცი გ. ქვლივიძე

„ნელი მასწავლებელო! შორეული ამერიკიდან მიშიკო წიკლაური გეხმაურებით. თქვენი ჩატარებული გაკვეთილები დღესაც ჩემი სულის საზრდოა. თქვენ მასწავლეთ ვისი გორისა ვარ და რა მევალება. ამისთვის დიდი მადლობა თქვენ. მე რომ დღეს წარმატებული ვარ, თქვენი და ჩვენი სკოლის დამსახურებაა. საძირკველი თქვენ ჩაჰყარეთ“.

მარიამ ზაუტაშვილი ასე აცნობს თავის მეგობრებს ნელის – „ჩემი საუკეთესო და საყვარელი ქართულის მასწავლებელი“... და ა.შ. და ა.შ.

ერთი შეხედვით შეიძლება ვერც კი მიხვდეთ, რომ ამ ქალბატონში შვილებს გადამკვდარი დედა, კარგი მეუღლე და კულინარი იმალება, რომელმაც თავის დროზე ლხინიც იცის, ჭირშიც გვერდით დაგიდგება და გაჭირვების ჟამს ფულითაც გაგმართავს. ის მხოლოდ კარგი პედაგოგი არ არის. უბრალოდ კარგი ადამიანია. წყენა ორ ნაბიჯზეც არ მისდევს, მაშინვე ღიმილით გამოგელაპარაკება, გულში ხინჯი არ რჩება.

„ქართველო მასწავლებელო!
გულისა გამხარებელო,
ბევრი შვილების გამზრდელო,
ცოდნისა გამდრმავებელო.
მინდა, რომ ძლიერ მიყვარდე,
ძვირფასო მასწავლებელო!!!“

საგარეჯოს III საჯარო სკოლა ჩემი სკოლაა. მე ის ძალიან მიყვარს მთელი თავისი სიგრძე-სიგანით და იქ მოფუსფუსე ყველა მასწავლებლით. აქ ყველა ასაკის და დამსახურების მასწავლებელია. ყველა მათგანი თავისებურად ძვირფასი და საყვარელია. მეც, რა თქმა უნდა, ყველა მიყვარს, მაგრამ, ამჯერად ჩემი სიყვარული მინდა გამოვხატო ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ანა ჭიაბრიშვილის მიმართ.

ამაგდარი და მზრუნველი

74-ე გაზაფხულის პირველ თვეს თავისებური მღელვარებით შეეგება, თავისი ცხოვრებისეულ წლებს კიდევ ერთი წელი მიუმატა. უყვარს მარტი – გიჟმაჟი ხასიათით, ხან ია-იებით, ენძელებით მორთული, ხან თოვლის თხელსაბანწაფარებული, მაგრამ მაინც სიცოცხლის გაგრძელების, ახალი ცხოვრების დაწყების მიმანიშნებელი. თავადაც ხომ ახალი ცხოვრების დაწყების მეკვლედ – პირველ შვილად შემოვიდა ანა და ვანო ქიტოშვილების ოჯახში. მას მერე ასე დაებედა. ყოველთვის, ყველგან – ოჯახშიც, მეზობლებშიც, ნათესავ-მეგობრებშიც, თანამშრომლებშიც, კოლეგებშიც რაღაც, იქნებ უმნიშვნელო, მაგრამ მაინც სიახლის, სიკეთის წამომწყებია.

ერთმანეთის პარალელურად გაირბინა სამსახურის დაწყების, პირველი პირმშოს შეძენის სიხარულმა და სტუდენტობის წლებმა, საგარეჯოს პიონერთა სახლის დირექტორთან რაიონის ყველა სკოლის დირექტორს მჭიდრო მეგობრობა ჰქონდათ – ყველა ისწრაფოდა პიონერთა სახლის ახალგაზრდა დირექტორთან ერთად ეზეიმა ის წარმატებები, რაც გასული საუკუნის 60-იან წლებში ჰქონდა მის კოლექტივს. შემდეგ კი 70-იან წლებში საგარეჯოს რაიონული განათლების განყოფილების იმდროინდელი გამგის ნუგზარ ჭანტურიას დაჟინებული თხოვნით, პარტიის რაიკომმა განათლების განყოფილებაში გადმოიყვანა და საბავშვო ბაღების ინსპექტორის თანამდებობა შესთავაზა. და დაიწყო... ერთადერთი, რასაც მუდამ მკაცრი, მომთხოვნი განათლების განყოფილების უფროსი კრიტიკული თვალით არ უყურებდა, ეს საბავშვო ბაღების მუშაობა იყო – იცოდა, იქ ყველაფერი თავის ადგილას იქნებოდა... ამიტომაც იყო, საგარეჯოს №1 საბავშვო ბაგა-ბაღს (ყოფილი გამგე ნანა კუჭუაშვილი) სსრკ გარდამავალი წითელი დროშა რომ ერგო კავშირის მასშტაბით გაწელილ შეჯიბრებაში! (იქნებ ახლა ვინმეს გაეცინოს კიდეც, რადა დროსააო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულის დროშა, როცა დღეს საქართველოში ევროპული და ამერიკული დროშების მიღება უფრო ადვილიაო). შემდეგ კი იყო 90-იანი წლების უშუქობა, უკიდურესი გასაჭირი. ქვეყნის მასშტაბით დაიკეტა საბავშვო ბაღები, ბევრგან სკოლებიც, მაგრამ მხოლოდ საგარეჯოში არ დაკეტილა არც ერთი საბავშვო ბაღი, 26-დან არც ერთი! თუმცა ქ-ნი ლუიზა მაშინაც მხოლოდ ინსპექტორის შტატზე იყო, მაგრამ საბავშვო ბაღების შენარჩუნებაში ყველა ბერკეტი აამოქმედა და თავად მეუღლეც ჩართო – საქმე ხომ მომავალ თაობას ეხებოდა, იმ მომავალ თაობას, რომლის უკეთესი მომავლისთვის ვითომდა საქართველოს „პატრიოტებმა“ საკუთარი კეთილდღეობისათვის მართლაც რომ გაწირეს სრულიად საქართველო, ბავშვებს ბავშვობა წაართვეს, საქართველოს – საუკეთესო შვილები. მაშინ ქ-ნ ლუიზას მეუღლე ელგუჯა ჩალათაშვილი გიორგიწმინდის მეღორეობის კომპლექსის ხორცის გადამამუშავებელი საწარმოს დირექტორი იყო... არც ერთი რაიონის საბავშვო ბაღში ცხოველურ ცხიმზე არ მზადდებოდა ბავშვებისთვის საჭმელი, არამცთუ ხორციანი სადილი. არც ერთ საბავშვო ბაღში ფაფა რძეზე არ მზადდებოდა, საგარეჯოს 26-ვე საბავშვო ბაღში კი ფაფები რძის ფხვნილზე მზადდებოდა. ეს ელგუჯა ჩალათაშვილის მიერ უანგაროდ გაღებული ქველმოქმედება იყო. ეს ელგუჯა ჩალათაშვილის მხარში დგომა იყო მეუღლისათვის, რომელიც ბავშვებისათვის თავად პრეზიდენტის დახურულ კარსაც კი არ დაერიდებოდა. საბავშვო ბაღები თბებოდა, ბავშვებს არ აკლდა საუზმე-სადილი, საინტერესო მეცადინეობები და ღონისძიებები. ამიტომაც იყო, საბავშვო ბაღში იმ წლებში ბავშვი დღეს არ აცდენდა...

შემდეგ კი იყო დღე, უცბად დღე დამედ იქცა – მისი რამაზის სული ზეციურ საქართველოს შეუერთეს... რკინის ქალამანი ჩაიცვა შვილმკვდარმა დედამ და სიმართლე მაინც გაირკვა იმ დროს, როცა მტყუან-მართლის გარჩევა ძნელი იყო და დიდმოხელე, ჩინოვნიკი დანაშაულს რიგითებს აბრალებდა...

არც ერთი წუთი დავიწყებია თავისი საქმე. პირიქით, გაათკეცებული ენერგიით ედგა თითოეულ საბავშვო ბაღს გვერდით. ეძიებდა გზებს, სიახლეებს, რაც ხელს შეუწყობდა უკეთესობისკენ მათ წაყვანას. სწორედ მისი ენერგიული ძიებით გამოინახა საერთო ენა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „კივიტას გეორგიკას“ საზოგადოება „ედუკატორთან“ და მათი დახმარებით საგარეჯოს რაიონის საბავშო ბაღებსა და ბაგა-ბაღებს ინვენტარი, სათამაშოები შეემატა და ეს არაერთგზის მოხდა. წლის ყოველ გაზაფხულზე აქ ტრენინგები ტარდებოდა, სადაც ჩვენი რაიონის პედაგოგ-ახალგაზრდები ერთმანეთს უზიარებდნენ გამოცდილებას, კითხულობდნენ ლექციებს, ეწყობოდა საჩვენებელი მეცადინეობები და ღონისძიებები... სწორედ ქ-ნი ლუიზას მიერ შემუშავებული სცენარით საბავშვო ბაღებში ეწყობოდა მინი-სპექტაკლები, სადაც ბავშვები სწავლობდნენ და პრაქტიკულადაც ხალისით ერთვებოდნენ გარემოს დაბინძურებისგან დაცვაში, უფროსებს შეახსენებდნენ, რომ ნაგავი, საყოფაცხოვრებო ნარჩენები, არა მარტო ულამაზოს ქმნის გარემოს, აბინძურებს დედა-ბუნებას, ჩვენც – ადამიანებს გულგრილს გვხდის იმ ტრადიციების მიმართ, რაც ქართველებს ოდითგანვე გვაქვს...

შემდეგ კი... ქ-ნი ლუიზა საკუთარ საქმეს ჩამოაშორეს, ჯერ რაიონული გამგეობის შესაბამისი სამსახურის განათლების სპეციალისტად გადაიყვანეს, დღეს კი სკოლამდელი აღზრდის საგარეჯოს №2 დაწესებულების ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტია.

4 მარტს 74 წელი შეუსრულდა. ვუღოცავთ, მარტის თვე მართლაც მისია. ეს კარგად იციან გიამ, თინიკომ, ნინომ, ლუიზამ, გუჯიკომ, ნუცამ, ლიკუნამ... და ნინო და ნუციკო ინგლისიდან, გია და თინიკო ლიკუნასთან, ლუიზას და გუჯიკოს ოჯახებთან ერთად ულოცავენ ამ ლამაზ დღეს სხვანაირი სიხარულით, სიყვარულით, სიამაყით, მონატრებით...

ყოველ დილას მიუყვება ბავშვებისკენ ქუჩას, თუმცა, იშვიათად ფეხით, რადგან ნახევარსაუკუნოვანი უდალატო მეგობრობა, მზრუნველობა აკავშირებთ საგარეჯოელებს მასთან, სიხარულით სთავაზობენ მანქანით მომსახურებას, გულიანად მოიკითხავენ, იციან ისევ მისთვის ჩვეული ყურადღებით, სიყვარულით უპასუხებს მათ ქ-ნი ლუიზა.

ჩემი მასწავლებელი

ანა მასწავლებელი თავისი დამსახურებებით და სწავლის მეთოდით მართლაც გამორჩეულია. მიუხედავად იმისა, რომ მას დიდი და მშვენიერი ოჯახი აქვს, ჰყავს 3 არაჩვეულებრივი შვილი და 2 შვილიშვილი, ჩვენთვისაც, გარდა გაკვეთილებისა, ყოველთვის ნახულობს დროს, რომ ყველა ბავშვთან იყოს ისე ახლოს, როგორც მეგობარი, ახლობელი. მან ყველა ბავშვის განცდა და ჩანაფიქრი იცის. ყველას გვარიგებს და გვეფერება, ზოგს მართლაც დედასავით სამართლიანად, მაგრამ თბილი გულით გვსჯის. მუდამ გვასწავლის, როგორ ვისწავლოთ, როგორ მოვიქცეთ, რომ კარგ ადამიანებად ჩამოვყალიბდეთ.

მე ძალიან, ძალიან მიყვარს ანა მასწავლებელი. მინდა მთელი სულითა და გულით მივულოცო გაზაფხულის ლამაზი დღესასწაული 8 მარტი, ვუსურვო ჯანმრთელობა, მხნეობა და დიდხანს სიცოცხლე, რათა კიდევ მრავალი თაობა აღზარდოს ჩვენი სამშობლოსათვის.

ასევე მინდა მესამე საჯარო სკოლის ყველა მასწავლებელს მივულოცო 8 მარტი.

მინდა ყველა ჩემი მასწავლებელი იყოს ჯანმრთელი და ბედნიერი.

თქვენ, ჩვენო მასწავლებლებო,
მუდამ უჭკნობო ვარდებო,
მინდა, რომ დიდხანს იცოცხლოთ,
გქონდეთ თქვენ უფლის წყალობა!
გაიხარეთ და გამრავლდით,
რათა გაზარდოთ მრავალი
თაობა საქართველოსთვის!

ნუციკო როსტიაშვილი,
საგარეჯოს III საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლე

გაძლების გმირები,
ანუ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები ერთ პროფესიაში

მავანი, ამ სტრიქონების წამკითხველი „კომუნისტების დროის“ ნოსტალგიად ჩათვლის მათი პროფესიების გახსენებას. დიახ, უბრალო, მაგრამ ყველასათვის პატივსაცემი პროფესიები ჰქონდათ მათ. რატომ ჰქონდათო?! რადგან უკვე აღარ აქვთ, მათ მხოლოდ ერთი პროფესია აქვთ ახლა – ოჯახის, შვილების, შვილიშვილების, საკუთარი თავის მარჩენალთ...

პირველად გაუბედავად შემოუსხდნენ ყოფილი საკოლმეურნეო ბაზრის დახლებს. ნაცნობ-უცნობთ რაღაცნაირი მორიდებით და სიმორცხვით ხვდებოდნენ, ეთაკილებოდათ დახლებთან დგომა, მაგრამ რა ექნათ?! აღარ არსებობდა სამუშაო უბნები, სამსახური, საყვარელი საქმე, რომლებსაც ისინი ათეული წლობით დიდი სიყვარულით ემსახურებოდნენ. ოჯახი კი თავისას ითხოვდა... ისევ სძლიეს თავს, ამპარტავნებას და გარისკეს – წვრილმანი ნივთებით – ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით დაიწყეს ვაჭრობა – იაფფასიანი, ისეთი, გაჭირვებული ადამიანები რომ შეწვდომოდნენ და ვაჭრობაც კარგად წასულიყო... დახლებიდან ამ სამი წლის წინ ქუჩაში გადმოინაცვლეს – დროებით ხის მესერზე გამოჰკიდეს „სავაჭრო“ და მაინც ვერ მოიცილეს ის მორიდება-უხერხულობა, რომელიც ყოველ დღე სდევთ. ახლა ლარის კურსის დაცემამ შეუქმნათ პრობლემები, უხერხულობები – ყველაფერზე ფასებმა მოიმატა, ჩვენ როგორც ვიყიდეთ, რა ფასიც ლარის „დაცემამდე“ დავადეთ, როგორდა უნდა მოვამატოთ ფასი, ისედაც „ქამარმოჭერილ“ კლიენტებისთვის, მაგრამ ჩვენც ხომ გვინდა „პურის ფული“ დაგვრჩეს-ო?! – შემოგვჩივლეს.

დალი კანჯარაშვილი – საგარეჯოს კავშირგაბმულობის ტელეფონისტი იყო, ერთ-ერთი მოწინავე და თავმდაბალი. 24 საათიანი მორიგეობის დროს საგარეჯოელებს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის დედაქალაქებსა და ქალაქებთან აკავშირებდა. ვის არ იცნობდა სატელეფონო ხაზის ბოლოს საბჭოეთის ყველა კუთხე-კუნჭულში?! როგორი სიხარულით აკავშირებდა ერთმანეთთან შეყვარებულებს, ჯარისკაცის მშობლებს შორეულ კამჩატკასა თუ მოსკოვში, გერმანიაში...

მედიკო არჩუაძე – კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დამხმარე საწარმოს მოლარე იყო. მის თვალწინ იწვნებოდა მავთულბადეები, ღუმლებში იწრთობდა თიხის ნაკეთობები, საწარმოს თანამშრომლებთან ერთად ზეიმობდა მიღწევებს...

დალი ძიზიყურაშვილი – დიდი სიხარულით ზრდიდა ორ შვილს. მეუღლე სამუშაოს საშოვნელად წლების წინ წავიდა რუსეთში.

დღეს დალი, მედიკო, დალი სხვა გარემოვაჭრეებთან ერთად დგანან ქარში, წვიმასა და მზეში. ერთად ეგებებიან წლის ოთხივე დროს ხან დია ცისქვეშ, ხან ცელოფნებს შეფარებულები. ერთმანეთთან საუბარში გაჰყავთ დრო, ხანდახან გამოეთიშებიან – კლიენტი მოვიდაო და სასოებით შეჰყურებენ – იქნებ რამე შეიძინოს?!

ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველი

დალი თოლომაშვილი-ძურხული საგარეჯოელია. ისევე, როგორც ყველა ქალი დღეს სახლშია, დიასახლისობს, იშვიათად უწევს ცენტრში ჩამოსვლა, მაგრამ თვეში ორი დღე სწორედ რომ დათქმული აქვს – აუცილებლად უნდა ჩამოვიდეს „ქურხულიანთ უბნიდან“. მართალია, იცის, ჯიხურში დახვდება საგანგებოდ მისთვის გადადებული, მისთვის საინტერესო გაზეთის ორი ეგზემპლარი, მაგრამ მაინც ჩქარობს... – და ეს გაზეთი „გარეჯის მაცნეა“-ო, – გამიმხილა დალიმ. – წლების მანძილზე ძეხვის გადამამუშავებელ საამქროში ვმუშაობდი, მაშინ „ივრის განთიადი“ გამოდიოდა ჩვენს რაიონში. მთელი საამქრო ველოდით მის გამოჩენას – გვაინტერესებდა ჩვენი რაიონის ახალ-ახალი სახეები, შრომაში გამარჯვებული ფაბრიკა-ქარხნების, მეცხოველეობის, მეფრინველეობის კომპლექსების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელების საქმიანობა. შემდეგ მოიშალა, დაიხურა სოფლის მეურნეობა, ქარხანა-ფაბრიკები, საწარმოები... „კახეთის კარიბჭე“ გვატყობინებდა რაიონის ამბებს. ახლა კი „გარეჯის მაცნეა“ ჩვენი, უბრალო ადამიანებისათვის ინფორმაციის მომწოდებელი. ამიტომაც ველი სულმოუთქმელად და არა მარტო მე და ჩემი ოჯახი, ჩემი მეზობლებიც. ორ ეგზემპლარს კი იმიტომ ვყიდულობ, რომ მეორეს ჩემი შვილიშვილისთვის – გიგისთვის ვკინძავ.

გიგი მოჭიდავეა. ეს 11 წლის ბიჭი ჭიდაობით არის დაინტერესებული, აქვს საკმაო წარმატებებიც და ხშირად „გარეჯის მაცნეშიც“ იბეჭდება. მინდა ჩემს შვილიშვილს სპორტში თავისი „პირველი ნაბიჯები“ შემოვუნახო. ამასთან, ამ გაზეთში ხშირად ჩვენი რაიონის წარსულზე იბეჭდება ისტორიკოს ალ. ელერდაშვილის წერილები. ვეცნობი ჩვენი რაიონის მოსახლეობის საქმიანობას, რაიონში მიმდინარე მშენებლობებს, საკმაოდ წარმატებული ბავშვებისა და ახალგაზრდების გაცნობა კი კარგი მომავლის რწმენას განმიმტკიცებს.

ახალ ნომერში ჩემი შვილიშვილის წარმატების შესახებ ინფორმაციას ველოდები სულმოუთქმელად.

გაზაფხულს, დედის და ქალთა დღეს გილოცავთ ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან, ქ-ნო დალი და იმ წარმატებებს გილოცავთ, რასაც გიგიმ სულ ახლახანს ტურნირზე მიაღწია – გიგიმ ხომ ოთარ არჩუაძის სახელობის ტურნირზე დათო ხითარიშვილის სახელზე გაცემული პრიზი –- საკმაოდ სოლიდური თანხა მოიპოვა.

ცნობილი ადამიანები ქალების შესახებ

ქალი მუცლის გარეშე – იგივეა, რაც ცა უვარსკვლავებოდ.

არაბული ანდაზა

ქალი სიყვარულში ჰგავს არფას – თავის საიდუმლოებებს მხოლოდ მას ანდობს, ვინც მასზე კარგად უკრავს;

ონორე დე ბალზაკი

ქალი მტყუანია მანამ, სანამ ატირდება

ჯონ ხალიბერტონი

ქალი ბოლომდე არასოდეს ინანიებს

დოსტოევსკი

ქალს გააჩნია საოცარი ალღო; ისინი ყველაფერს აღმოაჩენენ გარდა სინამდვილისა

ოსკარ უაილდი

ქალს შეუძლია მხოლოდ ერთი საიდუმლოს შენახვა – ასაკის;

ვოლტერი

ქალი მეფობს, მაგრამ არ მართავს;

დელფინა დე ჟირარდენი

ქალი ის მათრობელა პროდუქტია, რომელზედაც სააქციზო გადასახადი ჯერ არ დაუწესებიათ

ანტონ ჩეხოვი

ქალი – ოჯახის გადამრჩენელია, ან დამღუპველი;

ანრი ფრედერიკ ამელი

ქალი ბედნიერებაზე მიპატიჟებაა;

შარლ ბოდლერი

ქალი – არა მარტო სიამოვნებების ვაგონია, არამედ 3, ხან კი 4 ტონა პრობლემაცაა;

ჰენრი ფორდი

ქალი – ეს გემრიელი სუფრაა, რომელსაც მამაკაცი სხვადასხვანაირად უყურებს ჭამამდე და ჭამის შემდეგ

ონორე დე ბალზაკი

ქალები მამაკაცებს დიდი გმირობისათვის შთააგონებენ, მაგრამ მათ აღსასრულებლად დროს აღარ უტოვებენ;

გუსტავ ფლობერი

ქალები შთაგვაგონებენ შედევრების შესაქმნელად, მაგრამ ხელს უშლიან ამ შთაგონების აღსულებას;

ოსკარ უაილდი

ქალი ყველაფერს თავდაყირა ატრიალებს. სცადეთ მისი შეშვება თქვენს ცხოვრებაში და მაშინვე აღმოაჩენთ, რომ მას სულ სხვა რამ უნდა თქვენ კი სრულიად საწინააღმდეგო;

ბერნარდ შოუ

ქალებს არ უყვართ ერთმანეთი და ამ შურის მიზეზია – მამაკაცი;

ჟან ლაბრიუერი

როცა **ქალი** გზას ვერ იკაფავს შუბლით, ამას მკერდით აკეთებს;

აშოტ ნადანიანი

ლამაზი **ქალი** თვალს ახარებს, კეთილი გულის მალამოა; პირველი უსარგებლო ნივთია, მეორე – განძი

ნაპოლეონი

უნდა შეგეძლოთ ხშირად დაემორჩილოთ **ქალს**, რათა ხანდახან მასზე მბრძანებლობის უფლება მოიპოვოთ

ვიქტორ ჰიუგო

ისე არაფერი იტაცებს **ქალს**, როგორც დაპირება

ოვიდიუსი

ყველა **ქალს** სურს იყოს ერთგული, პრობლემა იმაშია, რომ ძნელია ისეთი მამაკაცის პოვნა, ვისი ერთგულიც იქნება

მარლენ დიტრიხი

დედა ღმერთია ბავშვის თვალში;

საილენტ ჰილი

დედას ყველაზე მეტად ის შვილი უყვარს, რომელიც მეტ ტანჯვას აყენებს

ვიქტორ ჰიუგო

არაფერია **დედის** სიყვარულზე წმინდა და უანგარო

ვასილი კლიუჩევსკი

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მამას შეუძლია გააკეთოს შვილებისათვის – უყვარდეს მათი **დედა**!

თეოდორ ხესბურგი

ღმერთმა **ქალები** ასე ლამაზები იმიტომ შექმნა, რომ მამაკაცებს ჰყვარებოდათ, და სულელები, რათა მათ კაცები ჰყვარებოდათ;

ფაინა რანევსკაია

თუ თქვენი ოცნების **ქალი** იპოვეთ, ეს ნიშნავს, რომ ამ ქალის ოცნება ახდა;

ვალერი აფონჩენკო

თუ **ქალი** არ გნებდებათ – გამარჯვებულია, თუ გნებდებათ, გამარჯვებულის მბრძანებელი ხდება;

კარლ ჩაპეკი

შეკრიბა

ზურაბ აგულაშვილმა

ვოეზია

ლალი ჩეკურაშვილი *საგარეჯოელია. სკოლაში სწავლისას IV კლასიდან დაიწყო ლექსებისა და ჩანახატების წერა. გულისყურით უსმენდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ზამილი ჭიაბრიშვილის შენიშვნებს. კითხულობდა ბევრს, თანდათან დაიხვეწა, გაამრავალფეროვნა თავისი სიტყვების მარაგი.*

ერთხანს იურიდიულზე სწავლობდა, შემდეგ ილიას საგანმანათლებლო სასწავლებელში. ახლა საგარეჯოს საჯარო რეესტრში მუშაობს. ჰყავს მეუღლე და შვილი. თავადაც არ იცის როდის მოუვა წერის სურვილი.

გთავაზობთ რამდენიმე ლექსს მისი ლექსების საშინაო კრებულიდან

* * *

გთხოვთ დამაბრუნეთ წარსულში
მეტს უკვე ვეღარ ავიტან,
მოდი შენ - კარში ჩადექი
მე ბურთით გოლებს გაგიტან.
ოხ, როგორ მომნატრებია
რეზინობანას თამაში,
კრუხ-წიწილების კრიახი
მედიკო ბებოს მარანში.
კედლიდან ჩამოწვდენილი
სულ მოპარული ლეღვები,
სულმოუთქმელად სირბილში
გადავლებული ბეღლები.
მომნატრებია თონესთან
ორცხობილები - ტკბილები,
მჟავე ტყემლისგან ჩაჭრილი
ატკიებული კბილები.
გაშლილი თმებით სირბილი
მზე რომ პირს იბანს წვიმაში,
დამალობანას თამაში
ჩამობნელებულ გვირაბში.
ის როლი მომნატრებია
ნონა რომ იყო მელია,
პაატა მომნატრებია,
მომნატრებია „მედია”.

* * *

მაგიდის ქვეშ რომ ვიჯექი,
ცა რომ განრისხდა მქუხარი,
ოჰ, როგორ მომნატრებია
მარუსა ბებოს ბუხარი.
სულ ყველა მომნატრებია,
რითმებითა თუ ურითმოდ,
გთხოვთ დამაბრუნოთ უკან და... ..
იქნებ გამიშვათ ურიგოდ.

ახალი სახელები
ლალი ჩეკურაშვილი

* * *

მოდი წყაროზე ჩავიდეთ,
თან გავიყოლოთ ბოცა,
წყლით სავსე კი არ დავბრუნდეთ,
ეს მიზეზია, როცა... ..
აყვავილდება ჩვენში -
იასამნების ფერი,
მოდი წყაროზე ჩავიდეთ და
ვიჯღურტულოთ ბევრი.
მე - კალამს წამოვიღებ...
იქვე დაგიწერ ლექსებს,
შენ - ბოცა დააცალე...
წყალმოწყურებულ ფესვებს,
და თუ სადამოს ჟამზე
გამოგვიჭირა ბინდმა,
ჩემთვის მინდა რომ გქონდეს,
წამოღებული – წინდა.
მინდა, რომ შემაციოს
შენმა გამჭოლმა მზერამ,
მინდა, რომ შემაჟრჟოლოს
კბილს გამოცრილმა ბგერამ.
მინდა, რომ საგზლად გქონდეს
შეწითლებული შოთი,
მინდა ამ დამეს მერქვას -
ხელაღებული ლოთი.
მოდი რაა... წყაროს ჩავიდეთ...
სურვილი ისე მაწვალებს,
ამ ღამეს ხელით შემახე,
ბროლისმკერდიან ვარსკვლავებს.

* * *

მე სამუდამოდ არ გესტუმრე... ... უნდა წავიდე!
შესვენებაზე სულ ცოტა ხნით შემოვიარე,
მოგონებებმა შემძრა ისე, შემაფთხრიალა...
მე - იმ გრძნობების დარდი მქონდა,
შენი კი არა.
მე თუ მოვკვდები, არად მიღირს ჩემი
სიცოცხლე,
თვალმიძინებულს ენძელები მინდა მეკავოს,
მაგრამ იცოდე ეგოისტად გადავიქცევი,
მუხლზე დაჩოქილს ჩემზე დარდი
რომ არ გეყაროს.
თვალებზე ცრემლი ისე მინდა
გემშრალებოდეს,
როგორც დაჭრილი ორბი იწმენდს
ფრთებით „წამწამებს”
და ქვეყნად, ყველა სულიერს
რომ ებრალებოდეს,
შენი ქვითინი მუდამ დღე, რომ მწარედ
გაწვალებს.
მე სამუდამოდ არ მოვედი... უნდა წავიდე!
ახლა ცოტა ხნით მუშაობას,
შენთან მერჩინა,
გამთენიისას შენი პულსის ცემა გავიგე,
დამტირებელი - სიკვდილს უნდა გადამერჩინა.

სპორტი

ოთარ არჩუაძის ტურნირი საგარეჯოში

ამასწინათ საგარეჯოს არსენ მეკოკიშვილის სახელობის სპორტკომპლექსის ჭიდაობის დარბაზში ჩატარდა ცნობილი საგარეჯოელი ფალავნის ოთარ არჩუაძის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში – 1999-2000 და 2001-2003 წლებში დაბადებულ ფალავანთა შორის, სადაც მასპინძელი, საგარეჯოელი მოჭიდავეების გარდა, თავიანთ ძალებს ცდიდნენ თბილისის ლერი ხაბელოვის სახელობის სპორტკლუბის, ხარაგაულის, ყვარლის, თერჯოლის, ვარკეთილის, ახმეტის, რუსთავის, გამარჯვების, კასპის, დიღმის, დედოფლისწყაროს, აფხაზეთის, ბოლნისის, თბილისის „მართვეს“, მარნეულის, გურჯაანის, კოდორის სპორტული საზოგადოებების აღსაზრდელები.

1999-2000 წლიანთა ასპარეზობა სულ 10 წონით კატეგორიაში გაიმართა, სადაც ჩვენმა მოჭიდავეებმა მხოლოდ ერთი პირველი, ერთი მეორე და ამდენივე მესამე საპრიზო ადგილის დაკავება შეძლეს. კერძოდ, ტურნირის ჩემპიონი 63 კგ წონით კატეგორიაში გახდა გიორგი ბურჯანაძე, მეორე პრიზიორობა მოიპოვა 58 კგ წონით კატეგორიაში ომარ ასაბაშვილმა. ამავე წონაში მესამე ადგილები გაიყო ნიკა მესროფოვმა.

უფრო უკეთესად იასპარეზეს უმცროსი ასაკის 2001-2003 წლიანთა ჯგუფში მონაწილე საგარეჯოელმა მოჭიდავეებმა. აქ მათ სამი პირველი, ერთი II და ერთიც III საპრიზო ადგილის დაკავება შეძლეს. 35 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა გიგი ქურხული, ბაჩო ქვლივიძემ პირველობა არავის დაუთმო 47 კგ წონით კატეგორიაში, ხოლო დავით კუჭუაშვილი უძლიერესი აღმოჩნდა 53 კგ წონით კატეგორიაში. რაც შეეხება მეორე და მესამე ადგილებს, მათი მფლობელები შესაბამისად გახდნენ თორნიკე ასაბაშვილი (26კგ) და ვასიკო დიღმელაშვილი (47კგ).

ტურნირზე აიპ. „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“ მიერ სხვა ჯილდოებთან ერთად დაწესებული იყო ოთარ არჩუაძის პრიზი, რომელიც მისმა შვილიშვილმა და მოსახელე ოთარ არჩუაძემ გადასცა 53 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვებულ საგარეჯოელ გიორგი ბურჯანაძეს.

ტურნირზე ანდრო მინდიაშვილისა და დავით ლიქოკელის მიერ დავით ხითარიშვილის ხსოვნის საპატივსაცემოდ დაწესებული იყო ფულადი პრიზები. ეს ფულადი ჯილდოები გადაეცათ საგარეჯოელ მოჭიდავეებს: 35 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვებულ გიგი ქურხულს და ბაჩო ქვლივიძეს (47კგ).

ძიუდო

კახეთის რეგიონულ პირველობაზე

7 თებერვალს ახმეტაში ჩატარდა კახეთის რეგიონული პირველობა ჭიდაობა ძიუდოში ახალგაზრდებს შორის. საქართველოს პირველობისათვის შესარჩევ ტურნირში კახეთის სხვა მუნიციპალიტეტების ძიუდოისტებთან ერთად მონაწილეობდნენ აღნიშნული სტილის საგარეჯოელი მოჭიდავეები. ტურნირში პირველი წარმატება საგარეჯოელებს 55 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონმა სამბისტმა ირაკლი კუპატაძემ მოუტანა, რომელიც უძლიერესი იყო ამ წონაში.

საგარეჯოელი ძიუდოისტები კახელებს შორის უძლიერესები აღმოჩნდნენ 60 კგ წონით კატეგორიაში, რომელთაც თითქმის არავის დაუტოვეს საპრიზო სამეულში მოხვედრის შანსი. აქ I ადგილი დაიკავა სოლომონ თედიაშვილმა, მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა ნიკა ყუშიტაშვილი, მესამეზე კი – ლაშა ხარატიძე.

66 კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა ვანო მამისაშვილმა.

გარეჯული ფინალი გათამაშდა 73 კგ წონით კატეგორიაში, სადაც ერთმანეთს სიმონ მამარდაშვილი და ოთარ კაციაშვილი დაუპირისპირდნენ. შეხვედრა სიმონ მამარდაშვილის გამარჯვებით დამთავრდა – სიმონმა ჩემპიონის წოდება, კაციაშვილმა კი II ადგილი დაიკავა.

81 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა კიდევ ერთი საგარეჯოელი, ცნობილი კაკაბეთელი ძიუდოისტი კობა მჭედლიშვილი.

საგარეჯომ ქართულ ჭიდაობაში საქართველოს პირველობას უმასპინძლა

7-8 მარტს საგარეჯოს საჭიდაო არენამ კიდევ ერთ დიდ სპორტულ ასპარეზობას უმასპინძლა. აქ ჩატარდა ახალგაზრდებში ქვეყნის პირველობა ეროვნულ ჭიდაობაში, რომელშიც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს უძლიერეს ფალავნებთან ერთად საგარეჯოელი მოჭიდავეებიც მონაწილეობდნენ. ჭიდაობაში ტოლი არავის დაუდო, გაგვახარა და 55 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა სამბოში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ირაკლი კუპატაძე, რომელიც უძლიერესი გამოდგა ამ წონაში. წარმატებით იასპარეზა და 80 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონის წოდება მოიპოვა კიდევ ერთმა საგარეჯოელმა ფალავანმა, ცნობილმა კაკაბელმა ძიუდოისტმა კობა მჭედლიშვილმა.

ასპარეზობას მოქმედ თუ ვეტერან ფალავნებთან ერთად ესწრებოდა საქართველოს ქართული ჭიდაობის ფედერაციის თავმჯდომარე გელა ბერუაშვილი. ასპარეზობის დასასრულს ორგზის ოლიმპიურ და 5-გზის მსოფლიო ჩემპიონის ლევან თედიაშვილის, სხვა ცნობილი ქართველი ფალავნების მიერ ხელი მოეწერა ქართული ჭიდაობის, როგორც მსოფლიოში უნიკალური და უძველესი სპორტის სახეობის იუნესკოში შეტანის თხოვნას, რასაც მალე ალბათ შესაბამისი რეაგირება მოჰყვება.

ჭადრაკი

ნინო ესაიაშვილი გამარჯვებებს გვპირდება

24 თებერვლიდან 2 მარტამდე თბილისის ჭადრაკის სასახლეში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში 7 წლამდე გოგონათა და ვაჟთა შორის. საგარეჯოდან მასში მონაწილეობას იღებდნენ: ნინო ესაიაშვილი, ლუკა ივანელაშვილი და საბა დუჩიძე.

III ადგილი გოგონათა შორის დაიკავა ნინო ესაიაშვილმა (მწვრთნელი ნანი უნაფქოშვილი). მან 9 შესაძლებლობიდან მოაგროვა 6.5 ქულა. სულ ცოტა დააკლდა საპრიზო ადგილამდე ლუკა ივანელაშვილს, მან 9-დან 5,5 ქულა მოაგროვა.

ნინო ესაიაშვილი საგარეჯოს I საჯარო სკოლის მეორეკლასელია. მაინც-დამაინც არ ეხალისება ერთ ადგილას ჯდომა, არადა ჭადრაკი დიდ ნებისყოფას და დროს მოითხოვს. თუმცა, მას შემდეგ, რაც მან ამ ჩემპიონატში III ადგილი დაიკავა, დიდი სურვილი გაუჩნდა ახალ-ახალი წარმატების.

წარმატებები ვუსურვოთ დამწყებ მოჭადრაკეს.

სპორტი

„ვერცხლი“ ანტალიის „ევროპის თასის“ გათამაშებიდან

თურქეთის ქ. ანტალიაში ჩატარდა ევროპის თასის გათამაშება ჭიდაობა ძიუდოში ახალგაზრდებს შორის, რომელშიც 21 ქვეყნის 462 გოგო-ბიჭი იღებდა მონაწილეობას,მათ შორის საქართველოს ღირსებას 81 კგ წონით კატეგორიაში იცავდა საგარეჯოელი ფალავანი ელდარ ჯიქიძე, რომელიც ავადმყოფობის გამო განცდილი მარცხის მიუხედავად,მწვრთნელებმა მაინც წაიყვანეს ანტალიაში საასპარეზოდ. აქ ჩვენებურმა ძიუდოისტმა დაამტკიცა სხვა კონკურენტებზე თავისი უპირატესობა ამ წონაში და შეძლო ვერცხლის მედლის მოპოვება. სწორედ ამ უპირატესობაზე ამახვილებდა ყურადღებას გაზეთი „ლელო“: „ყველაზე დიდი მოულოდნელობა მაინც ჯიქიძემ შემოგვთავაზა. ის შინა ფინალში ქევხიშვილთან დამარცხდა, ახლა კი შედეგით მასაც აჯობა და დანარჩენ კონკურენტებსაც. ანტალიაში მოპოვებული მედლით იგი მწვრთნელებს მორიგ ექსპერიმენტს აიძულებს და მას შანსს კიდევ მისცემენ“. ეს შანსი კი თბილისის მომავალ ახალგაზრდულ თამაშებზე მოხვედრაა. წარმატება ვუსურვოთ ამ მიზნის მიღწევაში ჩვენს მოჭიდავეს.

კახეთის რეგიონული პირველობა საგარეჯოში

საგარეჯოს ძიუდოს დარბაზმა 5 მარტს მორიგ სპორტულ ასპარეზობას უმასპინძლა. ჩატარდა კახეთის რეგიონული პირველობა ძიუდოში 2000-2001-2002 წლიან ძიუდოისტებს შორის, რომელშიც თავიანთ შესაძლებლობებს ნორჩი საგარეჯოელი ფალავნებიც ცდიდნენ. შეჯიბრება სულ 8 წონით კატეგორიაში ჩატარდა, რომელშიც 80 მოზარდი იღებდა მონაწილეობას. აქედან ყველაზე მეტი – 21 ფალავანი დამწყებ – 40 კგ წონაში. ტურნირზე საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

40 კგ. წონითი კატეგორია. 1. სიდამონიძე ანზორი (თელავი); II. შათირიშვილი მიშიკო (ახმეტა); III – გოგოჭური თორღვა, ბახბახიშვილი დავითი (თელავი).

45 კგ. წონითი კატეგორია. 1. გიორგაძე გიორგი (თელავი); II. ნინიაშვილი დავითი (ახმეტა). III – ქურხული ნოდარი (საგარეჯო), გოგოლაძე ვალერი (ყვარელი);

50 კგ. წონითი კატეგორია. 1. ებელაშვილი ლევანი (ახმეტა), II. ახალაური გიორგი (ახმეტა). III ვართანაშვილი გიორგი (თელავი,) კორაშვილი გიორგი (ახმეტა).

55 კგ. წონითი კატეგორია. 1. ბასილაშვილი ნიკა (საგარეჯო); II ბექაური ლაშა (დ.წყარო). III. ფაქიზაშვილი დავითი (ახმეტა), მესროფოვი გიორგი (საგარეჯო).

60 კგ. წონითი კატეგორია 1. ბახბახიშვილი მიხეილი (თელავი), II წიკლაური გიორგი (ყვარელი). III. ბექაური ბექა (დ/წყარო). თვაური გიორგი (დ/წყარო).

66 კგ. წონითი კატეგორია 1. ძინიყაშვილი გიორგი (ყვარელი); II. სილაგაძე ბექა (ახმეტა); III ალხანიშვილი ლაშა (ახმეტა, თვაური გიორგი (დ/წყარო).

73კგ. წონითი კატეგორია 1. ქევხიშვილი ნოდარი (თელავი); II ხოხობაშვილი თემური (ახმეტა), ბალარჯიშვილი გიგა (სიღნაღი);

73 კგ. წონითი კატეგორია. 1. ყორიაშვილი უშიშა (თელავი); 2. აგულოვი ირაკლი (საგარეჯო).

გ. დაბახიშვილი

ხსოვნა სიკვდილზე ძლიერია

გივი ქურხული

ხუთი გაუსაძლისი და ტკივილიანი წელი შესრულდა 14 მარტს, რაც ჩვენგან წახვედი, ჩემო ძვირფასო, ერთადერთო ძმაო, გივი.

„დრო ყველაფრის მკურნალიაო“ – ამბობენ, თუმცა ასე არ ყოფილა, რაც უფრო მეტი დრო გადის, უფრო გვიღრმავდება ის ჭრილობა, რომელიც შენი წასვლით მოგვაყენე. დრო ცდილობს შეგვაჩვიოს იმ დიდ ტკივილს, რასაც უშენობა ჰქვია.

30 წელი ემსახურე შენს რაიონს, შენს ხალხს. 30 წელი ერთ თანამდებობაზე იყავი, ყველას ჭირის და დარდის გამზიარებელი იყავი. ყველას გაჭირვება გულთან მიგქონდა, ყველას ეხმარებოდი: ახლობლებს, მეგობრებს როგორც შეგეძლო. უზომოდ იყავი შეყვარებული შენს ოჯახზე, შენს შვილებზე. ყველაფერს აკეთებდი,რომ შენი ნიკა და თაკო ბედნიერები ყოფილიყვნენ.

შენ ისევ ცოცხლობ და ცხოვრობ შენს დანატოვარ ოჯახში. ყველგან შენი კეთილი სული ტრიალებს. ყოველი კუთხე-კუნჭული შენს თავს გვახსენებს და ეს უფრო მტკივნეულია ყველა ჩვენგანისათვის, ჩემო საყვარელო, ჭკვიანო ძმაო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი და ჩვენი მშობლების სული. ისინიც ხომ შენთან ერთად არიან. მსუბუქი იყო თქვენთვის მშობლიური მიწა. გზა გაგინათოთ ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა სასუფეველში.

შენი ოჯახი და შენი და

ჯემალ ბურჯანაძე

უკვე 9 წელი გავიდა, რაც ჩვენს შორის აღარა ხარ, ჩემო საყვარელო მამიკო. 2006 წლის 10 მარტი შენთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ძალიან დაგვაკლდი ყველას, როგორც შენს უსაყვარლეს კოლექტივს, ასევე შენს ოჯახს. ჩვენ ხომ ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი, ჩემთვის არა მარტო ძვირფასი მამა, არამედ საუკეთესო მეგობარი და კოლეგაც იყავი. სულ უკან დაგდევდი, რაღაცის მეშინოდა, თითქოს გული მიგრძნობდა, რომ მალე დაგკარგავდი. ორი წელი ლოგინს მიგაჯაჭვა ავადმყოფობამ, მაგრამ არც ერთი წუთით იმედი არ დაგიკარგავს – ძალიან გინდოდა სიცოცხლე, მაგრამ სიკვდილმა არ დაგაცადა და 67 წლის ასაკში წაგვართვა შენი თავი. შენ ხომ ჩემს ხელში დალიე სული. გიყურებდი და ვხედავდი, როგორ ნელ-ნელა ჩერდებოდა შენი გული. ისეთი თვალებით მიყურებდი, თითქოს შველას მთხოვდი, მაგრამ ვერ შევძელი... ძალიან მიყვარხარ

მამა და უზომოდ მენატრები, ფიქრებით სულ შენთან ვარ, ჩემო დიდო ტკივილო. ვცდილობ დედას არ ვაგრძნობინო უშენობა და ცოტათი მაინც შევუმსუბუქო ის ღრმა იარა, რომელიც სამუდამოდ დაუტოვე მას.

შენ ყველასთვის საყვარელი ადამიანი იყავი – ღვაწლმოსილი კულტურის მუშაკი, ხალასი იუმორის მქონე, ოპტიმისტი და უნიჭიერესი მუსიკოსი. დღეს მე შენს საქმეს ვაგრძელებ და სამუსიკო სკოლას ვხელმძღვანელობ, რომელიც შენი სახელობისაა. ვცდილობ, ვიყო ღირსეული შვილი და მამის საქმის ღირსეული გამგრძელებელი. შენი სული და ჩემს მაგიდაზე დადებული შენი პატარა სურათი გზას მინათებს და მამხნევებს.

ნათელში იყავი მამა, მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მშობლიური მიწა. შენს საქმეს არა მარტო მე, შენი შვილიშვილებიც აგრძელებენ. შენ საგარეჯოს რაიონს არასოდეს დაავიწყდები

ლია ბურჯანაძე

გიორგი მელაშვილი



ჩვენო გიორგი ბიძია, ჩვენს ქალაქში, ჩვენს ქუჩაზე უკვე მე-12 გაზაფხული მოვიდა უშენოდ. უშენოდ მძიმეა ცხოვრება, რადგან ყოველ ფეხის ნაბიჯზე შენი მონატრება გვტანჯავს. შენს მაგივრადაც ვეფერებით შენს მუდამ თვალცრემლიან დედას, მაგრამ მას შენი ხმის გაგონება სურს, უშენობა სტკივა და ყოველთვის გვახსოვს შენს ძმისშვილებს, რომ შენს საბოლოო განსასვენებელთან წმინდა სანთლები ავანთოთ და შენი სულისთვის ვილოცოთ.

გიორგი ბიძია, შენ არ დაგრჩა „მორჩი“ შენი სიცოცხლის გაგრძელებისათვის, ამიტომ მარტო ლუარა ბებიას კი არა, შენც გპირდებით, რომ არასდროს განელდება ჩვენში შენი სიყვარული და არასდროს შენელდება ლოცვა შენი სულის უკვდავსაყოფად.

თურმე 8 მარტს ბებიასათვის შენი ხელით მოკრეფილი იები მიგქონდა. თურმე არასდროს გავიწყდებოდა დედისთვის 8 მარტის მილოცვა. ახლა შენს მაგივრად მივულოცავთ ბებოს ქალთა დღეს, მოვეფერებით, თუმცა ზუსტად ვიცით, რომ მას შენი ხმის გაგონება და შენი ჩახუტება უნდა.

ღმერთმა ნათელში დაგამკვიდროს, შენმა სულმა მშვიდად დაივანოს იმქვეყნიურ საუფლოში.

ლიკა მელაშვილი

მილოცვა

დაბადების დღეს ვულოცავთ ორგზის ოლიმპიურ და ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონს **ლევან თედიაშვილს**. ვუსურვებთ სიკეთეს, სიხარულს, დიდხანს სიცოცხლეს!“

აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ თანამშრომლები

დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეს ვულოცავთ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ თანამშრომელ ქალებს, ვუსურვებთ მშვიდობიან საქართველოში ბედნიერად ცხოვრებას თავიანთ ლამაზ ოჯახებთან ერთად.

აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ თანამშრომელი მამაკაცები

ოჯახი

დაბადების დღე — 8 მარტი



გაზაფხულის შემოსვლა დიდს თუ პატარას, ყველას ერთნაირად ავსებს და ახარებს. გაზაფხული ხომ ქალივით ლამაზია. ამ დროს ადამიანები სიცოცხლით და იმედით ივსებიან, ხოლო სამყარო უხვად გვალამაზებს ლამაზი ფერებით და მაინც, მისი დადგომა მანდილოსნებს მეტად გვახარებს. პირველი თვეც ხომ ქალთა ულამაზეს დღეებს უკავშირდება: 3 მარტი დედის დღე და განსაკუთრებით 8 მარტი – ქალთა დღე, როდესაც ყველა მანდილოსნისთვის ხშირად ნათქვამი სიტყვა – „მიყვარხარ“ – ამ დღეს განსაკუთრებით ლამაზად ჟღერს.

სწორედ ამ დღეს არის დაბადებული საგარეჯოელთათვის ერთ-ერთი უსაყვარლესი და საამაყო ადამიანი – ქ-ნი ნინო ნაცვლიშვილი-ოსიყმიშვილი. სიტყვა საამაყო უბრალოდ ნათქვამი არ არის. იგი თავისი პიროვნული ღირსებებით, ცხოვრების წესით მართლაც გამოირჩევა მანდილოსანთა შორის – თუნდაც 4 შვილის ღირსეულ ქართველებად აღზრდა და ჩამოყალიბება რად ღირს?!

იგი 18 წლის ასაკში, სწორედ რომ წლის ყველაზე ლამაზ დროს – შეხვდა თავის მეორე ნახევარს – გივი ოსიყმიშვილს. მათ ლამაზი სიყვარული ჰქონდათ, რომელიც ოჯახის შექმნით დაგვირგვინდა. მათ სიყვარულს წლებმა, წლებს მოყოლილმა სირთულეებმა ვერაფერი დააკლო. ისინი კვლავაც ისეთივე თბილები, ყურადღებიანი, ყველას გვერდში მდგომნი არიან, როგორებიც იყვნენ ახალგაზრდობაში, მაშინ, როცა არავის არაფერი უჭირდა...

შემთხვევით არაფერი ხდებაო და ალბათ არც ესაა შემთხვევითობა, რომ მეუღლეებს ერთ დღეს აქვთ დაბადების დღე – 8 მარტს და ამიტომ უფრო მეტად გამოირჩევა ეს დღე ორივესთვის. ჰყავთ 4 შვილი – 1 ქალიშვილი და 3 ვაჟი, 6 შვილიშვილი, რომელთაც უზომოდ უყვართ ბებია და პაპა.

ქ-ნი ნინო ათწლეულებია საგარეჯოს ჯ. ბურჯანაძის სამუსიკო სკოლაში მოღვაწეობს და არაერთი უაღრესად კარგი მოსწავლის აღმზრდელია. მისი მოსწავლეები ყოველთვის გამოირჩევიან არა მხოლოდ ბგერის მრავალფეროვნებით, არამედ შესრულების განსაკუთრებული მანერითაც. დღემდე ხომ ქ-ნი ნინო დიდი სიყვარულით ემსახურება თავის საყვარელ პროფესიას და შედეგიც სახეზეა. ადვილი არ იყო ოთხი შვილის აღზრდა, საპასუხისმგებლო პროფესია – ურთიერთობა ბავშვებთან, მათთვის კლასიკური მუსიკის შესწავლა და შეყვარება. არც ის იყო ადვილი, რომ მეუღლე, რომელიც წლების განმავლობაში თანამდებობაზე მუშაობდა, ხელი შეეწყო და ოჯახში თბილი, სიყვარულით გაჯერებული ატმოსფერო დაეხვედრებინა. მაგრამ ერთმანეთი დიდი სიყვარულით უყვარდათ და უყვართ, ამიტომაც შეძლეს რეალიზების მოხდენა თავიანთი შესაძლებლობებისა და ხალხის სამსახურში დიდი სიყვარულით ყოფნა.

ნინოს უზომოდ უყვარს კოლექტივი და განსაკუთრებით ცრემლიანი თვალებით იხსენებს ბ-ნ ჯ. ბურჯანაძეს, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე სკოლას ღირსეულად

ხელმძღვანელობდა.

სულ ასეთი იმედიანი, სიხარულის მომნიჭებელი ყოფილიყავით მოსწავლეების, კოლექტივის, ახლობლების მიმართ და მუდამ მომხიბვლელი გამყოფოთ უფალმა, ქ-ნო ნინო. ბედნიერების 8 მარტი მოგსვლოდეთ ყოველთვის თქვენც და თქვენს მეუღლესაც! 8 მარტის მოსვლას თქვენ და თქვენნაირები უფრო გვილამაზებთ გარშემომყოფთ.

მუსიკოსთა დინასტია

ისინი ჩვენს ქალაქს ალამაზებენ

ქ-ნი ნელი ყანჩაშვილი საგარეჯოს სამუსიკო სკოლის წამყვანი პედაგოგია. 1959 წელს დაამთავრა ქ. თბილისის სამუსიკო სასწავლებელი საგუნდო-სადირიჟორო განხრით, სადაც გაიცნო მომავალი მეუღლე ბ-ნი ჯემალ ბურჯანაძე. შეუღლების შემდეგ სწავლა გააგრძელეს ფორტეპიანოს სპეციალობით. უკვე 56 წელი სრულდება, რაც ქ-ნი ნელი ფორტეპიანოს პედაგოგად მუშაობს. იგი დღესაც ტოლს არ უდებს ახალგაზრდა პედაგოგებს და ჩვეული ენერგიით განაგრძობს მუშაობას. რამდენიმე კვირაში ტარდება სამუსიკო სკოლების ფესტივალი „მომავლის ვარსკვლავები“ ქ. თბილისში. მისი მოსწავლეები აქტიურად ემზადებიან ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად. წლების განმავლობაში ქ-ნ ნელის ბევრჯერ მიუღია მონაწილეობა ზონალურ და რესპუბლიკურ კონკურსებში, საიდანაც ყოველთვის გამარჯვებული

ბრუნდებოდა.

მისი ქალიშვილი და მისივე მოსწავლე, ამჟამად სამუსიკო სკოლის დირექტორი ქ-ნი ლია ბურჯანაძე რამდენჯერმე გახდა რესპუბლიკური კონკურსის გამარჯვებული. ქ-ნმა ლიამ 1992 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. თბილისის ამჟამად ი. ჭავჭავაძის პედაგოგიური უნივერსიტეტის რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტი. რამდენიმე წელი მუშაობდა ქ. საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის რუსული ენა-ლიტერატურის პედაგოგად, მაგრამ გენებმა თავისი გაიტანა და სწავლა გააგრძელა ქ. თბილისის სახელოვნებო პედაგოგიურ ინსტიტუტში ფორტეპიანოს სპეციალობით. იგი 22 წელია სამუსიკო სკოლის პედაგოგია, აქედან 10 წელია, რაც სამუსიკო სკოლას ხელმძღვანელობს. აქტიურად აგრძელებს მამის გზას, კარგი ხელმძღვანელი, უნიჭიერესი პიანისტი და კონცერტმეისტერია. ქ-ნმა ლიამ სკოლაში შექმნა პედაგოგიური ანსამბლი „მელოდია“, რომელშიც ძალიან ლამაზად აგრძელებენ როგორც ბ-ნი ჯემალის, ასევე სხვა კომპოზიტორების სიმღერებს. ქ-ნ ლიას ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და 4 შვილიშვილი.

უფროსი ვაჟიშვილი **ვალერი ოტიაშვილი** თავის მეუღლესთან და შვილებთან ერთად ამჟამად ცხოვრობს საფრანგეთში. იგი კარგად მღერის, უკრავს ფორტეპიანოსა და გიტარაზე.

შუათანა ქალიშვილი **დოდო ოტიაშვილი** №1 საჯარო სკოლის მუსიკის პედაგოგია. მან დაამთავრა ქ. თბილისის სახელოვნებო პედაგოგიური ინსტიტუტი ფორტეპიანოს სპეციალობით. დოდო შესანიშნავი მომღერალია, აქვს იშვიათი ტემბრის ხმა, უკრავს ფორტეპიანოზე, გიტარაზე და ფანდურზე, აგრეთვე მღერის სამუსიკო სკოლის პედაგოგთა ანსამბლში, ჰყავს მეუღლე და 2 შვილი.

უმცროსი ქალიშვილი **ნელიკო ოტიაშვილი** ამჟამად საგარეჯოს სამუსიკო სკოლის პედაგოგი-ილუსტრატორია. მან დაამთავრა ქ. თბილისის



სახელოვნებო პედაგოგიური ინსტიტუტი კლასიკური ვოკალის სპეციალობით. დედასთან და დასთან ერთად მღერის ანსამბლ „მელოდიაში“. ნელიკოს ბავშვობიდან ყველა იცნობს. ორი წლიდან მთელი ბავშვობის ასაკში სცენაზე იდგა. მის გამოჩენას ტელევიზიით მთელი საგარეჯო სიხარულით ელოდებოდა. სამუსიკო სკოლის კონცერტებზე მოსული მაყურებელი მოუთმენლად ელოდა პაწაწინა გოგონას გამოჩენას, ყველა სიყვარულით ხვდებოდა და მქუხარე ტაშით აჯილდოვებდა. გაიზარდა ნელიკო და ისიც საყვარელი პაპის, ბებოს და დედის კვალს გაჰყვა.

ტრადიციულად მათი ოჯახი ხელოვანთა ოჯახია და გვჯერა, რომ გენი არ დაიკარგება და მომავალშიც ასე გაგრძელდება.

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru